პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

№ 295 (5396) | სამშაბათი, 27 დეკემბერი 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს გაზეთში.

გავაძლიეროთ პარტიული ხელმძღვანელობა კომკავშირზე (მოწინავე)
ა. სტახანოვის წერილი საქართველოს მაღაროელებისადმი (1-ლი გვ.)
საბჭოთა ბელორუსიის XX წლისთავის წინ (1-ლი გვ.)
დროულად და მაღალხარისხოვნად შევაკეთოთ ტრაქტორები (მე-2 გვ.)
შ. ჯიქია—ენგურის ცელულოზ-ქაღალდის კომბინატი (მე-2 გვ.)
ვ. დვალი — დავიცვათ საკოლმეურნეო ცხოვრების უმაღლესი კანონი (ფელეტონი. მე-2 გვ.)
ნ. ბაიდაშვილი — საფუძვლიანად დავეუფლოთ მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიას (ფელეტონი. მე-3 გვ.)
უცხოეთი:
ამერიკა-გერმანიის ურთიერთობის გამწვავება (1-ლი გვერდი).
საფრანგეთის სოციალისტების ყრილობაზე (1-ლი გვ.)

გავაძლიეროთ პარტიული ხელმძღვანელობა კომკავშირზე

საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმმა გამოამჟღავნა და ხელმძღვანელობიდან გააძევა პოლიტიკურად გაკოტრებული და მორალურად გახრწნილი ადამიანები— კოსარევი, ვერშკოვი და სხვები — და აირჩია საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის ახალი, ბოლშევიკური ხელმძღვანელობა.

პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პირადად ამხანაგ სტალინის დახმარებით კომკავშირის ხელმძღვანელობიდან განდევნილი არიან ორპირები და გადაგვარებულნი, რომლებიც ზიანს აყენებდნენ ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის დიად საქმეს, ყოველნაირად ჰფუშავდნენ მას. კომკავშირის ხელმძღვანელობიდან განდევნილი არიან მასებს მოწყვეტილი „ხელმძღვანელები", რომლებიც ატყუებდნენ პარტიას და კომკავშირს, ფარავდნენ თავიანთ შეცდომებს, მფარველობდნენ ხალხის მტრებს და სდევნიდნენ პარტიისა და კომკავშირის ერთგულ პატიოსან ადამიანებს.

კომკავშირის თბილისის საქალაქო აქტივის კრებამ საქ. ალკკ საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნებთან ერთად, რომელიც ამ რამდენიმე დღის წინათ ჩატარდა, ერთსულოვნად მოიწონა საკ. ალკკ ც. კ-ის VII პლენუმის აღნიშნული გადაწყვეტილებები, გამოამჟღავნა საქართველოს კომკავშირის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი და დასახა გზები ამ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის.

აქტივზე გამოირკვა, რომ კომკავშირის ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკი ნაკლებად იყო დაკავშირებული ძირეულ კომკავშირულ ორგანიზაციებთან და საბჭოთა ახალგაზრდობასთან, ნაკლებად უგდებდა ყურს რიგითი კომკავშირელების ხმას, არასაკმარისად უწყობდა ხელს კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლას. ყოველივე ამის შედეგად ადგილი ჰქონდა კომკავშირული დემოკრატიის დარღვევას და საყოფაცხოვრებო გახრწნილების არაერთ ფაქტს.

ფეხსაცმლის ახალი ფაბრიკის კომკავშირული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე კომკავშირის თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. ბალდასაროვი შეეცადა კრებისათვის თავზე მოეხვია კომკავშირის კომიტეტის მდივნად ისეთი კანდიდატი, რომელიც ფაბრიკის კომკავშირულ ორგანიზაციაში არ ირიცხება და არც იცნობენ მას ფაბრიკის კომკავშირელები.

კომკავშირული დემოკრატიის უხეში დარღვევის ფაქტებს ადგილი ჰქონდა აფხაზეთის კომკავშირულ ორგანიზაციებშიც. კომკავშირის ოჩამჩირის რაიკომის მდივანმა ა. არგუნმა, იმის გამო, რომ რაიკომთან არსებული პირველადი კომკავშირული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე არ აირჩიეს იგი რაიონული კონფერენციის დელეგატად, თვითნებურად გააუქმა ჩატარებული არჩევნები, რითაც უხეშად დაარღვია შინასაკავშირო დემოკრატია.

იქ, სადაც სუსტად დგას პოლიტაღმზრდელობითი მუშაობა, სადაც კომკავშირი სუსტად ხელმძღვანელობს ახალგაზრდობის იდეურ ცხოვრებას, თავს იჩენს მახინჯი ჩვეულებანი — ლოთობა, ხულიგნობა, საყოფაცხოვრებო გახრწნილება. ასეთი ფაქტები კი საქართველოს ზოგიერთ კომკავშირულ ორგანიზაციაში იშვიათი როდია. კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის ყოფილი ხელმძღვანელები საყოფაცხოვრებო გახრწნილების ფაქტებს ჩვეულებრივ, უმნიშვნელო მოვლენად სთვლიდნენ, არ იღებდნენ ზომებს მათ წინააღმდეგ, არ იბრძოდნენ მათი აღმოფხვრისათვის.

ზოგიერთი სკოლების კომკავშირული ორგანიზაცია სუსტად იბრძვის მოსწავლე ახალგაზრდობაში დისციპლინის განმტკიცებისათვის, მოსწავლეთა შორის ხულიგნური ყოფაქცევის, უდისციპლინობის აღმოფხვრისათვის. ქუთაისის სკოლებში იშვიათი როდია წესრიგის უხეში დარღვევის ფაქტები, მაგრამ საქ. ალკკ ქუთაისის საქალაქო კომიტეტი და მისი მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილება საკმაო ზომებს არ იღებენ მოსწავლეთა შორის დისციპლინის განმტკიცებისათვის სკოლების ხელმძღვანელთა დასახმარებლად, ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის გასაძლიერებლად.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ საფუძვლად უნდა დაედოს კომკავშირული კადრების იდეურ გამოწრთობას, მარქსისტულ-ლენინური თეორიით მათს შეიარაღებას. ამ თეორიის დაუფლების გარეშე ისინი ორივე ფეხით იკოჭლებენ რადგან: „ბოლშევიკური ხელმძღვანელობის ხელოვნება მოითხოვს თეორიის ცოდნას, ე. ი. საზოგადოების განვითარების კანონების, მუშათა მოძრაობის განვითარების, პროლეტარული რევოლუციის განვითარების, სოციალისტური მშენებლობის განვითარების კანონების ცოდნას და იმის უნარს, რომ გამოვიყენოთ ეს კანონები პრაქტიკულ მუშაობაში სოციალისტური მშენებლობისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად" (საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან).

ამჟამად ალკკ ორგანიზაციებში ტარდება კომკავშირული დოკუმენტების გამოცვლა. ამ უაღრესად პოლიტიკური მნიშვნელობის ამოცანის წარმატებით შესრულებამ ხელი უნდა შეუწყოს კომკავშირულ მეურნეობაში ბოლშევიკური წესრიგის დამყარებას. უკანასკნელ დრომდე ქუთაისის კომკავშირულ ორგანიზაციაში 1.200-მდე „მკვდარი სული" ითვლებოდა, ხოლო საქ. ალკკ თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომში 500-ზე მეტი. მომავალში ასეთ მდგომარეობას ადგილი არ უნდა ექნეს. კომკავშირული დოკუმენტების გამოცვლა გამოყენებულ უნდა იქნას ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის გასაძლიერებლად; თვითეული კომკავშირელი უნდა მივაჩვიოთ თვალისჩინივით გაუფრთხილდეს კომკავშირულ ბილეთს. ამავე დროს გადაჭრით უნდა აღმოიფხვრას კომკავშირში ახლად მიღებულთა დოკუმენტების გაფორმების და საწევრო ბილეთების გაცემის დაგვიანება.

უკვე დაიწყო კომკავშირული კონფერენციები, რომლებიც ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნის ქვეშ მიმდინარეობს. კონფერენციებმა უნდა ამხილონ და გააშავონ უუნარო ხელმძღვანელები და მათ მაგიერ აირჩიონ პოლიტიკურად სანდო და საქმიანი ადამიანები.

კომკავშირული ორგანიზაციების სუსტი მუშაობა ხშირად იმით არის გამოწვეული, რომ პირველადი პარტიული ორგანიზაციები და პარტიის რაიკომები სუსტად ხელმძღვანელობდნენ კომკავშირს. საჭიროა გადაჭრით გავაძლიეროთ პარტიული ხელმძღვანელობა კომკავშირისადმი. კომკავშირული კონფერენციები უნდა ჩავატაროთ კომკავშირული ორგანიზაციებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გადაჭრით გაუმჯობესების ნიშნით, რადგან „კომკავშირის ძლიერებისა და სიმტკიცის წყარო—ეს ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობაა. იგი ზრდის კომკავშირს და უნერგავს ახალგაზრდობას კეთილშობილ თვისებებს — ბოლშევიკურ პრინციპულობას, იდეურობას, უშიშრობას, გულადობასა და სიმამაცეს". („პრავდა").

უნდა გვახსოვდეს და ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ ხალხთა ბელადის დიდი **სტალინის** ბრძნული მითითება იმის შესახებ, რომ პარტიის ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა ყველაზე მთავარი და ყველაზე მნიშვნელოვანია კომკავშირის მუშაობაში და რომ ასეთი ხელმძღვანელობის გარეშე კომკავშირს არ შეუძლია შეასრულოს თავისი ძირითადი ამოცანა საბჭოთა ახალგაზრდობის აღზრდისა კომუნიზმის სულისკვეთებით.

ქირურგთა სრულიად-საკავშირო ყრილობა

ხარკოვი, 25 დეკემბერი (საქდესი). დღეს საღამოს ხარკოვის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიხსნა ქირურგთა XXIV სრულიად-საკავშირო ყრილობა.

ყრილობა გახსნა მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ ორდენოსანმა პროფესორმა შამოვმა. თეატრის დარბაზი, რომელიც დაახლოებით 1500 კაცს იტევს, გაჭედილია დელეგატებითა და სტუმრებით.

პირველ საზეიმო სხდომაზე გამოვიდა სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. კოლესნიკოვი.

წითელი არმიის ხარკოვის სახლის დარბაზებში, სადაც ყრილობის საქმიანი მუშაობა იწარმოებს, მოწყობილია იმ სამედიცინო ხელსაწყოებისა და ინსტრუმენტების გამოფენა, რომლებსაც საბჭოთა კავშირის ქარხნები ამზადებენ.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პირველი პლენუმი

25 დეკემბერს გაიხსნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მე-2 სესიაზე არჩეული სსრკ უმაღლესი სასამართლოს პირველი პლენუმი.

პლენუმმა მოისმინა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს წევრის ამხ. პ. ა. კამერონის მოხსენება სპეკულაციის საქმეთა გამო სასამართლო პრაქტიკის შესახებ. (საქდესი).

ა. სტახანოვის წერილი საქართველოს მაღაროელებისადმი

თბილისი. „ზარია ვოსტოკას" რედაქცია

ვთხოვ „**ზარია ვოსტოკას**" რედაქციას გადასცეს საქართველოს მაღაროელებს ეს ჩემი წერილი.

ძვირფასო ამხანაგებო!

თქვენმა წერილმა ძალიან გამახარა. მე მოხარული ვარ გავეცნო საბჭოთა საქართველოს მაღაროელებს —ჩვენი ქვეყნის მაღაროელთა ახალგაზრდა რაზმს.

თქვენს წინაშე, ამხანაგებო, ახლა მოქმედების დიდი ასპარეზი იშლება. ხალხთა დიდმა ბელადმა ამხანაგმა **სტალინმა** საქართველოს ბოლშევიკების წინაშე, თქვენი რესპუბლიკის მაღაროელთა მთელი მასის წინაშე წამოაყენა დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის ამოცანა — საქართველოს და მთელი ამიერკავკასიის უზრუნველყოფა საკუთარი ქვანახშირით. საჭიროა, რათა წარმოების თვითეულმა მეთაურმა, საქართველოს თვითეულმა მაღაროელმა სავსებით შეიგნოს ამხანაგ **სტალინის** მიერ წამოყენებული ამოცანის მთელი უდიდესი მნიშვნელობა და ბოლშევიკურად მოჰკიდოს ხელი მის შესრულებას.

სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება დონბასის მაღაროელებთან, რომელიც თქვენ დასდეთ სტალინური კონსტიტუციის მეორე წლისთავის დღესასწაულის დღეებში, განაგრძობს საქართველოსა და უკრაინის კოლმეურნეების მიერ დაწყებულ შესანიშნავ შეჯიბრებას. ეს დიდი, მნიშვნელოვანი საქმეა. ორი მოძმე რესპუბლიკის კოლმეურნეთა შეჯიბრებას მე დიდის სიხარულით ვადევნებდი თვალყურს სხვადასხვა გაზეთების საშუალებით. ხალხთა დიადი სტალინური მეგობრობის დროშით, ამ მეგობრობის განმტკიცებით და დაცვით, საქართველოს კოლმეურნეებმა და ყველა მშრომელმა, ამხანაგ **ლავრენტი ბერიას** ხელმძღვანელობით, დიდ წარმატებებს მიაღწიეს თავის მუშაობაში. ორი მოძმე რესპუბლიკის კოლმეურნეებს ბევრი რამ აქვთ სათქმელი თავიანთ წარმატებათა შესახებ, რომლებსაც მათ შეჯიბრებაში მიაღწიეს. ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, რომ საქართველოს და დონბასის სახელოვანი მაღაროელებიც მალე მიაღწევენ ამ შეჯიბრებით წარმატებებს ქვანახშირისათვის ბრძოლაში.

საჭიროა მხოლოდ გულმოდგინედ ვიმუშაოთ. „**ზარია ვოსტოკაში**" მე წავიკითხე პირველი გამოხმაურება ტყვარჩელიდან და ტყიბულიდან. დასაწყისი არის.

მე კარგად ვიცნობ დონბასის მაღაროელთა კოლექტივებს, რომლებმაც თქვენ გამოგიწვიეს შეჯიბრებაში. ეს ძლიერი კოლექტივებია, რომელთა შემადგენლობაში კადრის ბევრი მაღაროელია, ქვანახშირის მრავალი საუცხოო ოსტატია. მაგრამ დონბასელი ამხანაგებიც ბევრ ძვირფას რამეს შეიძენენ თქვენგან, შესძლებენ მუშაობის საუკეთესო გამოცდილება გადაიღონ თქვენი სტახანოველებისაგან.

რა არის ამჟამად მთავარი საქართველოს ქვანახშირის ტრესტებისათვის?

მე ვფიქრობ, რომ მათთვის მთავარია — შექმნან მაღაროელთა მუდმივი მტკიცე კადრები, აღზარდონ, დააწინაურონ მაღალნაყოფიერი მუშაობის ასობით ახალი ოსტატები, ფხიზლად ადევნონ თვალყური ყოველივე ახალს ქვანახშირის ფრონტზე, სწრაფად გადაიღონ მუშაობის მოწინავე გამოცდილება. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა, რომელიც თვით მოწინავე მუშებმა წამოაყენეს და რომელსაც მხარი დაუჭირეს ყველა საწარმოში: ეს არის მკაცრი ბრძოლა წარმოების დეზორგანიზატორთა, ზარმაცთა, ფრენიათა წინააღმდეგ. მაღაროელთა ოჯახში არ არის და არც შეიძლება იყოს ადგილი ისეთი ადამიანებისათვის, რომელნიც თავიანთ წამგლეჯურ ინტერესებს ყველაფერზე მაღლა აყენებენ. მაღლა ვქიროთ მაღაროელის სახელწოდება, ამხანაგებო! დაე ტყვარჩელისა და ტყიბულის ყველა მეთაურმა გააჩაღოს მუშაობა მაღაროელთა მთელი მასის აღსაზრდელად შეგნებული შრომითი დისციპლინის საფუძველზე.

ამჟამად ფრიად მნიშვნელოვანია ის, რომ საქართველოს და უკრაინის მაღაროელებს შორის იყოს ცოცხალი, მუდმივი კავშირი, რომ შეჯიბრება ფართოდ შუქდებოდეს. ამისათვის საჭიროა ვაწარმოებდეთ უფრო ხშირ მიწერ-მოწერას, ვაცნობებდეთ ერთმანეთს მუშაობის ძვირფას გამოცდილებას, ვგზავნიდეთ ერთმანეთთან შახტებში მოწინავე ადამიანებს.

ჩვენი საყვარელი სახალხო კომისარი **ლაზარე მოსეს-ძე კაგანოვიჩი** იმის შესანიშნავ მაგალით გვიჩვენებს, თუ როგორ უნდა ჩავჭიდოთ ხელი მუშაობის ძვირფას გამოცდილებას და სწრაფად გავავრცელოთ იგი. ლაზარე მოსეს-ძემ ამ ცოტა ხნის წინათ გამოსცა მთელი რიგი ბრძანებანი ქვანახშირის მრეწველობაში ციკლური მუშაობის დანერგვის შესახებ ამხ. შაშაცკისა და გვოზდიროვის მეთოდით. ეს ბრძანებები წარმოადგენენ შახტებში კულტურული, შეწყობილი, მწყობრი მუშაობის დანერგვის პროგრამას. შეისწავლეთ ეს ბრძანებები, ამხანაგებო, და რაც შეიძლება სწრაფად გაატარეთ ისინი ცხოვრებაში.

მე უნდა გაცნობოთ, რომ **ლაზარე მოსეს-ძე კაგანოვიჩი** შეუსუსტებლად ადევნებს თვალყურს ქვანახშირის მრეწველობის განვითარებას საქართველოში და უდიდეს დახმარებას უწევს ამ მრეწველობას და მის ადამიანებს. პარტია და მთავრობა ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ განამტკიცონ საქართველოს და მთელი ამიერკავკასიის ქვანახშირის ბაზა. ეს ავალებს საქართველოს მაღაროელებს სანიმუშოდ იმუშაონ, ღირსეულად მოემზადონ ახალი, 1939 წლისათვის, მებრძოლურად დაიწყონ იგი.

მე სიხარულით ვიღებ გაზეთ „**ზარია ვოსტოკას**" საშუალებით გადმოცემულ თქვენს წინადადებას საზამთრო არდადეგებზე საქართველოში ჩამოსვლის შესახებ.

ჩვენმა საყვარელმა სახალხო კომისარმა **ლაზარე მოსეს-ძე კაგანოვიჩმა** ნება დამრთო ჩამოვიდე ტყიბულსა და ტყვარჩელში.

ამჟამად **ი. ბ. სტალინის** სახელობის სამრეწველო აკადემიაში, სადაც მე ზოგად-ტექნიკურ ფაკულტეტზე ვსწავლობ, — გაცხოველებული მუშაობაა. სერიოზული და დაძაბული სწავლა მიმდინარეობს, იწყება ჩათვლები.

ნახვამდის, ამხანაგებო!

ვისწავლოთ, ვიმუშაოთ, შევაღწიოთ გამარჯვებებს.

მაგრად გართმევთ ხელს.

ა. სტახანოვი

ინგურქაღალდკომბინატის ცელულოზის ქარხნის ჟანგბადის მილები და სახარში კორპუსი.

ფოტო ი. რიშკოვისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.).

საბჭოთა ბელორუსიის XX წლისთავის წინ

მინსკი (ჩვენი სპეც. კორ.). 1939 წლის 1 იანვარს ბელორუსი ხალხი და მათთან ერთად საბჭოთა კავშირის ყველა ხალხები აღნიშნავენ შესანიშნავ ისტორიულ თარიღს — ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის XX წლისთავს.

20 წლის წინათ ბელორუსმა ხალხმა, ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელობით, მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდი ბელადების — ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით, ისტორიაში პირველად მოიპოვა თავისი სახელმწიფოებრიობა.

ცარიზმის დროს ღატაკი, ჩამორჩენილი ქვეყნიდან ბელორუსია, მოწინავე მოძმე რუსი ხალხის დახმარებით, საბჭოთა ხელისუფლების წლებში გადაიქცა აყვავებულ ინდუსტრიულ-აგრარულ რესპუბლიკად — კაპიტალისტური დასავლეთის საზღვარზე სოციალიზმის ქვეყნის საიმედო ფორპოსტად. 11 მოკავშირე რესპუბლიკის კაშკაშა თანავარსკვლავედში, სტალინური კონსტიტუციის ცხოველმყოფელი სხივების ქვეშ იფურჩქნება და ვითარდება ორდენოსანი საბჭოთა ბელორუსია. რესპუბლიკის მშრომელნი ემზადებიან სიხარულით შეხვდნენ თავის სახელოვან XX წლისთავს. ბელორუსი ხალხი ემზადება შეხვდეს ამ შესანიშნავ თარიღს ახალი გამარჯვებებით, ახალი მიღწევებითა და საწარმოო საჩუქრებით საყვარელ სამშობლოსადმი.

რესპუბლიკის ფაბრიკებმა, ქარხნებმა, საწარმოებმა, კოლმეურნეობებმა, მტს-ებმა ფართოდ გაშალეს სოცშეჯიბრება წლიური გეგმის ვადაზე ადრე შესრულებისათვის. მაგალითად, ამ დღეებში წლიური გეგმა ვადაზე ადრე შეასრულეს ბელორუსიის სსრ კვების მრეწველობის მთელმა რიგმა დარგებმა (ცხიმის, ხორცის, ფრინველის, მეღვინეობის და სხვ.), რომლებმაც გამოუშვეს 11½ მილიონი მანეთის პროდუქცია.

ვიტებსკის ხორცკომბინატი, ქარხანა „პროლეტარი" და სატყეო მრეწველობის ცალკეული მეურნეობები 20 წლისთავის აღსანიშნავად თავის ნორმებს ერთიორად და ერთისამად ასრულებენ. უდიდესი საწარმოო აღმავლობაა რესპუბლიკის კოლმეურნეობებშიც. ბევრ რაიონში სასოფლო-სამეურნეო არტელების უმრავლესობამ უკვე დაამთავრა ამ წლის ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაო. დიდია სწრაფვა ერთპიროვნული მეურნეობებისა კოლმეურნეობებში შესვლისაკენ: მარტო ასავერიჩის რაიონის იმავე სახელწოდების სოფლის საბჭოში კოლმეურნეობებში შევიდა 158 მეურნეობა.

260 პროცენტით შეასრულა წლიური გეგმა კრიჩევსკის მტს-ის სატრაქტორო ბრიგადამ, რომლის ბრიგადირია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამხ. მაკარენკო.

მინსკის სამკერვალო ფაბრიკა „ოქტომბერმა" მიმართა რესპუბლიკის ყველა მუშასა და კოლმეურნეებს მოწოდებით ღირსეულად შეხვდნენ ბელორუსიის სსრ XX წლისთავს და აიღო ვალდებულება გეგმის ზევით გამოუშვას 600 ათასი მანეთის პროდუქცია და ფაბრიკის უდიდესი საამქროები გადააქციოს მთლიან სტახანოვურ საამქროებად.

ბელორუსი ხალხი ემზადება იმისათვის, რომ მოახლოვებულ საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს — სახელოვან XX წლისთავს შეხვდეს ახალი გამარჯვებებით სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე.

რ. ხალილოვი.

ამერიკა-გერმანიის ურთიერთობის გამწვავება

ნიუ-იორკი, 25 დეკემბერი (საქდესი). ამერიკის გაზეთების უმეტესობა იწონებს იმ გადამწყვეტ პოზიციას, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა დაადგა ფაშისტური გერმანიის მიმართ. ზოგიერთი გაზეთი, როგორიც არის, მაგალითად, „ვაშინგტონ პოსტი" და „კურიერ ექსპრესი" (გამოდის ბუფალოში, ნიუ-იორკის შტატში), აცხადებს, რომ ამერიკელები არ ინანებენ, თუ გერმანია-ამერიკის ურთიერთობათა დღევანდელ გამწვავებას შედეგად მოჰყვება დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტა გერმანიასა და ამერიკის შტატებს შორის. თუ გერმანიას, — სწერს „ვაშინგტონ პოსტი", ამერიკის შეერთებული შტატების გადამწყვეტი პასუხი არ მოსწონს, მაშინ „დაე დახუროს თავისი საელჩო ვაშინგტონში და გაიწვიოს თავისი ელჩი". ამერიკის რეაქციული გაზეთების უმნიშვნელო რაოდენობა მოითხოვს, რომ შინაგან საქმეთა მინისტრმა იკესმა, სენატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ პიტმენმა და სხვებმა შესწყვიტონ ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ მიმართული თავიანთი გამოსვლები.

საფრანგეთის სოციალისტების ყრილობაზე

პარიზი, 25 დეკემბერი (საქდესი). აქ დიდი ყურადღებით ადევნებენ თვალყურს სოციალისტური პარტიის საგანგებო ყრილობის მსვლელობას. საფრანგეთის რეაქცია ამ ყრილობის შედეგს უკავშირებს სახალხო ფრონტის წინააღმდეგ თავისი ბრძოლის შემდგომ პერსპექტივებს. რეაქცია ცდილობს გასთიშოს მუშათა კლასი, ჩამოაშოროს წვრილი ბურჟუაზია მუშათა კლასს, გამოიწვიოს უთანხმოებანი კომუნისტებსა და სოციალისტებს შორის, შეასუსტოს და გასთიშოს პროფკავშირები. „მიუნხენის" პოლიტიკის მომხრეების — პოლ ფორისა და სევერაკის პოზიცია მეტად ხელსაყრელია საფრანგეთის რეაქციისათვის. იგი მოწადინებულია, რომ სოციალისტების ახლანდელ ყრილობაზე „მიუნხენის" პოლიტიკამ გაიმარჯვოს.

როგორც ცნობილია, გუშინ სოციალისტების ყრილობამ შექმნა შემთანხმებელი კომისია საგარეო პოლიტიკის საკითხებზე ისეთი ერთიანი რეზოლუციის შესამუშავებლად, რომელიც ერთმანეთს დაუახლოვებდა ბლიუმისა და ფორის თვალსაზრისს.

გადმოგვცემენ, რომ შემთანხმებელი კომისიის მუშაობა დიდ სიძნელეებს წააწყდა. ორი სხვადასხვა თვალსაზრისის ერთმანეთთან დაახლოება მეტად ძნელი აღმოჩნდა: საჭირო გახდა ცალკეული კრებები დელეგაციებისა, რომელნიც კომისიაში სხვადასხვა მიმდინარეობას წარმოადგენენ, საჭირო გახდა კომისიის სხდომების სპეციალურად შეწყვეტა, რათა ფორის მომხრეებისათვის შესაძლებლობა მიეცათ—განეხილათ შემდგომი ხაზი თავიანთი მოქმედებისა კომისიაში.

ფორის მომხრეები თავიანთ ამოცანად ისახავენ შემთანხმებელ კომისიაში განამარტოონ ჟირომსკი ბლიუმისაგან. ბლიუმმა განაცხადა, რომ იგი შეურიგებელი დარჩება თავისი საგარეო-პოლიტიკური რეზოლუციის სამ ძირითად პუნქტში, სახელდობრ: საფრანგეთის ნაციონალური თავდაცვის საშუალებათა გაუმჯობესების აუცილებლობის საკითხში, საფრანგეთის მიერ სხვა ქვეყნებთან ხელმოწერილ ხელშეკრულებათა დაცვის საკითხში და საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის საკითხში.

პოლ ფორის მომხრეებმა (უნდა აღინიშნოს, რომ თვითონ პოლ ფორი შემთანხმებელი კომისიის შემადგენლობაში არ შედის). თავიანთ კონტრწინადადებათა მთელი სია წამოაყენეს.

ანტიფაშისტური ფილმი ჩარლი ჩაპლინის მონაწილეობით

ნიუ-იორკი, 24 დეკემბერი (საქდესი). ცნობილმა ამერიკელმა არტისტმა ჩარლი ჩაპლინმა განაცხადა, რომ 1939 წლის იანვარში იგი დასდგამს კინოსურათს სახელწოდებით „დიქტატორი". თუმცა ჩარლი ჩაპლინს ამ სურათის შესახებ არავითარი დაწვრილებითი ცნობები არ გადმოუცია, მაგრამ, როგორც ამბობენ, იგი იქნება სატირა გერმანიის ფაშიზმის მიმართ. როგორც ჰფიქრობენ, ეს სურათი უკვე ნაჩვენები იქნება ეკრანებზე 1939 წლის მაისში.

სურათში მთავარ როლს შეასრულებს ჩარლი ჩაპლინი მისთვის დამახასიათებელი მთელი კომიკური ხერხებით. ახალი ფილმი ხმოვანი იქნება.

ამერიკის პრესის გადმოცემით, ჰოლივუდის მთელი რიგი კინოფირმები, ითვალისწინებენ რა გერმანიის ფაშიზმის წინააღმდეგ დაწყებულ ფართო მოძრაობას, დასადგმელად ამზადებენ მთელ რიგ ანტიფაშისტურ კინოსურათებს.

ესპანეთის ფრონტებზე

აღმოსავლეთის ფრონტი

23 დეკემბერს, გვადალახარასთან იტალიელთა განადგურების შემდეგ, იტალია-გერმანიის შტაბმა პირველად დაიწყო შეტევა, ამჯერად კატალონიის ფრონტზე და იტალიელები კვლავ წამოსწია პირველ რიგში.

სეროსის სექტორში (ლერიდის სამხრეთ-დასავლეთით) იტალიელთა დივიზიებმა დაიკავეს სერა კრეზა. მაგრამ რესპუბლიკელებმა კონტრიერიშით ეს პუნქტი უკან დაიბრუნეს.

მეამბოხეთა და ინტერვენტთა იერიში ტრემპის სექტორში მოგერიებულ იქნა ისე, რომ მეამბოხეებს დიდი ზარალი მოუვიდათ.

24 დეკემბერს აღმოსავლეთის ფრონტზე ინტერვენტთა ჯარი, ავიაციის, არტილერიისა და ტანკების დახმარებით, იერიშებს განაგრძობდა ტრემპისა და სეროსის სექტორში.

მიუხედავად იმისა, რომ იტალიელებმა ბრძოლაში დიდი ძალები ჩააბეს, მათ მხოლოდ მდინარე სეგრეს ზონაში შესძლეს მცირეოდენი უპირატესობის მოპოვება, რაც ინტერვენტებს ძალიან ძვირად დაუჯდათ. ბრძოლა გრძელდება ალკანოს, საროკის, ტორებესესისა და ლიარდეკანსის მახლობლად. ინტერვენტებს განსაკუთრებით გააფთრებული იერიშები მიაქვთ ლიარდეკანსის მიმართულებით.

მოკლულ იტალიელთა შორის რესპუბლიკელმა ჯარისკაცებმა აიღეს იტალიელი პოდპოლკოვნიკისა და იტალიელი სერჟანტის გვამები. ტრემპის ზონაში ბრძოლას მეტად მწვავე ხასიათი აქვს. რესპუბლიკის ჯარმა აქ ინტერვენტთა ყველა იერიში მოიგერია.

რესპუბლიკელთა ავიაციამ წარმატებით დაუშინა ზარბაზნები და ტყვიამფრქვევები ინტერვენტთა ჯარის დაჯგუფებებს და მათს საბარგო ავტომობილებს, რომლებსაც მტრისათვის მაშველი ძალები მიჰყავდათ. მოსპობილია რამდენიმე საბარგო ავტომობილი. მომხდარი საჰაერო ბრძოლის დროს რესპუბლიკელთა ავიაციამ ჩამოაგდო ინტერვენტების ოთხი თვითმფრინავი.

იტალიის ინტერვენცია ესპანეთში

პარიზი, 25 დეკემბერი (საქდესი). ესპანის სააგენტო იუწყება, რომ 23 დეკემბერს აღმოსავლეთის ფრონტზე ტყვედ წაიყვანეს იტალიელი ლეიტენანტი დელტენი და კაპრალი კარმელო ჟოდიჩელი, რომელნიც ლიტორიოს დივიზიაში მსახურებდნენ. მათი დაკითხვის შედეგად გამოირკვა, რომ იტალიამ, ესპანეთიდან 10 ათასი ავადმყოფი და დაჭრილი ჯარისკაცის გაწვევასთან ერთად, ესპანეთში მიიყვანა 15 ათასი ახალი იტალიელი ჯარისკაცი.

ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელსადგურის მუშაობის მესამე დღე

სადგურის დატვირთვა დღითი-დღე იზრდება

ტყვარჩელი, 26 დეკემბერი (საქდესი). უკვე მესამე დღეა, რაც ტყვარჩელის თბოსადგური ჩართულია პარალელურ მუშაობაში საქართველოს ჰიდროსადგურებთან ერთად. ახალი სადგურის ყველა მექანიზმი და საამქრო (წყლის ქიმიური გაწმენდა, საქვაბე საამქრო, სამანქანო დარბაზი, სამმართველო ფარი, განმანაწილებელი მოწყობილობანი) შეუფერხებლად მუშაობს. გამოცდის პროცესში არავითარი დეფექტი და შეფერხება არ აღმოჩენილა ნორმალური მუშაობისათვის. მექანიზმების გამოცდამ საუცხოო შედეგები მოგვცა ამ დღეების განმავლობაში.

სადგურის დატვირთვა დღითიდღე იზრდება. დღეს სამმართველო ფართან მორიგეობს ახალგაზრდა ინჟინერი-ელექტრიკოსი ნალია გახარია, რომელმაც წარსულ წელს დაამთავრა თბილისის კიროვის სახელობის ინდუსტრიული ინსტიტუტი. საქართველოში ეს პირველი ინჟინერი-ქალია, რომელსაც მინდობილი აქვს მძლავრი თბოსადგურის რთული მექანიზმების სისტემაში მუშაობის ასეთი პასუხსაგები უბანი.

რწმენითა და გაბედულად ხელმძღვანელობს ახალგაზრდა ინჟინერი სადგურის რთულ მოწყობილობას, კონტროლს უწევს ყველა მექანიზმის მოქმედებას, განუწყვეტელი კავშირი აქვს საქართველოს ელსადგურთა ენერგეტიკული ჯგუფის დისპეტჩერთან.

— 7 ათას კილოვატს ვაძლევთ სისტემას, — მოახსენებს მორიგე მშენებლობის უფროსს ინჟინერ ჩხეიძეს, რომელიც ამ დღეებში განუწყვეტლივ იმყოფება სადგურის მექანიზმებთან.

მშენებლობაზე დიდი აღფრთოვანებაა. შემოქმედებითი აღფრთოვანებით არის შეპყრობილი მშენებელთა მთელი კოლექტივი, უფროსიდან მიწისმთხრელებამდე, რომლებმაც უკვე დიდი ხანია სამუშაო ჩააბარეს. აგებული სადგურის ამუშავების დღეები მოწინავე მუშათა, ბრიგადირთა და ინჟინერთა ახალი სტახანოვური რეკორდებით აღინიშნა. ჩქარი ტემპით მიმდინარეობს მუშაობა მექანიზმების ელექტრომოწყობის ხაზით აკარმარიდან ქვანახშირის მისაწოდებლად, რომელიც სადგურის ღუმელებში მტვრის სახით დაიწვება. ქვანახშირის მისაღები ყველა მექანიზმი უკვე შემოწმებულია. გამოცდამ კარგი შედეგები მოგვცა.

მშენებლობის ინჟინრები—ახალგაზრდობა, უმთავრესად თბილისის კიროვის სახელობის ინდუსტრიულ ინსტიტუტში აღზრდილნი არიან, თითქმის ყველა საამქროსა და უბნის ხელმძღვანელებმა, მათ შორის მშენებლობის უფროსმა — ახალგაზრდა ინჟინერმა, მხოლოდ 2-3 წელიწადია, რაც თბილისის უმაღლეს სასწავლებელთა აუდიტორიები დასტოვეს. ყველაზე უფრო დიდი სტაჟი აქვს მშენებლობის მთავარ ინჟინერს კომკავშირელ რეკვავას, რომელმაც თბილისის უმაღლესი სასწავლებელი 1934 წელს დაამთავრა.

საუცხოოდ მუშაობს ელექტროგადაცემის ხაზი კვეზანი - ზუგდიდი-სამტრედია, რომლის სიგრძეც 114 კილომეტრს უდრის. იგი უზრუნველჰყოფს ელექტროენერგიის რეგულარულ მიწოდებას ზუგდიდის ქაღალდის ფაბრიკისათვის.

ამ უახლოეს დღეებში სადგურის დატვირთვა გაცილებით უფრო გადიდდება.

დროულად და მაღალხარისხოვნად შევაკეთოთ ტრაქტორები

განვამტკიცოთ დისციპლინა სარემონტო ბრიგადებში

კასპის მტს-მა საშემოდგომო-საზამთრო რემონტის დაწყებამდე სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია გორის მტს. შეჯიბრებით გათვალისწინებულია ტრაქტორების რემონტის ვადაზე ხუთი დღით ადრე და მაღალხარისხოვნად დამთავრება. როგორ ასრულებენ კასპელები ნაკისრ ვალდებულებებს? ჯერჯერობით არადამაკმაყოფილებლად.

მტს-ში შეკეთება სჭირდება მოტორების მთლიანი და ნაწილობრივი დაშლით 79 ტრაქტორს. მეოთხე კვარტალში კი უნდა შეკეთდეს 52 ტრაქტორი; 21 დეკემბრისათვის შეკეთებული იყო 32. აღსანიშნავია, რომ 14 ტრაქტორი მაღალხარისხოვნად შეაკეთეს. მოწინავეთა რიგებში არიან ს. სარდანიანცის, ზ. მამულაშვილის, ვ. ხოვერაშვილის, ე. ჯანანვაშვილის და პ. გოგოტიშვილის სარემონტო ბრიგადები.

მტს-ის სარემონტო სახელოსნოში ენერგიულ მუშაობას ეწევიან ზოგიერთი სათადარიგო ნაწილის აღსადგენად. ამ საქმეზე ერთგული მუშაობით გამოირჩევიან ხარატი მ. გზირიშვილი, მჭედელი ვ. ღვინაძე, ზეინკლები სერგო პაპუაშვილი და ალიქსი მირუაშვილი.

მიუხედავად ამისა, ტრაქტორების რემონტის საქმეში ჩამორჩენაა. მეოთხე კვარტალი იწურება, და კვლავ შესაკეთებელია 20 ტრაქტორი. რამ გამოიწვია ეს ჩამორჩენა? რემონტზე მომუშავე ტრაქტორისტთა ნაწილში ჯერ კიდევ განმტკიცებული არ არის შრომის დისციპლინა. ტრაქტორისტმა ვასო ხუბაშვილმა სამი დღე უმიზეზოდ გააცდინა. გ. სოსუყურაშვილმა და შალვა სიდამონიძემ კი ორ-ორი დღე. ერთი დღე გააცდინა აგრეთვე ტრაქტორისტმა შალვა მელაძემ. რემონტზე მუშაობს 10 ბრიგადა. ბრიგადები ორცვლიან სამუშაოზე დაგვიანებით გადაიყვანეს.

მტს-ში სუსტია მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა; სოცშეჯიბრების მუხლებში ნაჩვენებია ლექციებისა და საუბრების ჩატარება როგორც საერთაშორისო მდგომარეობაზე, ისე ტექნიკურ საკითხებზე. მაგრამ ბევრჯერ ეს ვალდებულებები არ სრულდება. 9 დეკემბერს უნდა ჩატარებულიყო ლექცია ტრაქტორების ტექნიკური მოვლის წესებზე, 13 დეკემბერს აგროტექნიკის ზუსტად გატარებასა და მის მნიშვნელობაზე, 18 დეკემბერს სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების ტიპებისა და მათი მოვლის წესებზე, მაგრამ ლექციები ჯერ კიდევ არ მოუწყვიათ.

ს. ყურაშვილი

ეხმაურებიან ორთაჭალელ კოლმეურნეთა მოწოდებას

თბილისის რაიონის ორთაჭალის ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მოწოდებამ უკრაინაში გასაგზავნ კოლმეურნეთა დელეგაციაში მონაწილეობის უფლების მოპოვებისათვის სოცშეჯიბრების გაშლის შესახებ, რაც დაბეჭდილი იყო გაზეთ „კომუნისტის“ 11 დეკემბრის ნომერში, მეტად ცხოველი გამოხმაურება ჰპოვა ჩვენში, გურჯაანის რაიონის სოფელ კარდანახის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებში.

ჩვენ ვკისრულობთ:

1939 წელს თვითეულ ჰექტარზე მივიღოთ საშუალოთ 90 ცენტნერი ყურძენი, ნაცვლად მიმდინარე წლის 64 ცენტნერისა. ცალკეულ ნაკვეთებზე კი ჰექტარზე ყურძნის მოსავალი ავიყვანოთ 105 ცენტნერამდე.

შემოდგომის პური ჰექტარზე საშუალოდ მივიღოთ 18 ცენტნერი, ნაცვლად მიმდინარე წლის 16,5 ცენტნერისა. სიმინდი ჰექტარზე, ურწყავზე, მივიღოთ საშუალოთ 20 ცენტნერი, ნაცვლად მიმდინარე წლის 17 ცენტნერისა. თამბაქო, ნაცვლად მიმდინარე წლის 8 ცენტნერისა, საშუალოდ ჰექტარზე 1939 წელს მივიღოთ 10 ცენტნერი. მომავალი წლისათვის კიტრის მოსავალი ჰექტარზე უზრუნველვყოთ 100.000 ცალის რაოდენობით.

თავის დროზე და პირნათლად შევასრულოთ ყველა სახელმწიფო ვალდებულება. ჩამოვაყალიბოთ თავდაცვა-ავიაქიმის წრეები, რომლებშიც ჩავაბათ წევრთა არანაკლებ 50 პროცენტისა. მოვაწყოთ ვოროშილოველ მსროლელთა წრე. 1939 წლისათვის მოვაწყოთ მეღორეობის ფერმის კულტურული ბინები.

გურჯაანის რაიონის სოფელ კარდანახის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა დავალებით: **სოსო გულაშვილი** (კოლმეურნეობის თავმჯდომარე), **ვანო ჯანგულაშვილი** (თავმჯდომარის მოადგილე), **ლ. პაპაშვილი** (პარტორგი), ბრიგადირები: **სანდრო ტურიაშვილი**, **შაქრო ხელაშვილი**, **ვანო მანოშვილი**, სტახანოველი კოლმეურნეები: **ნასყიდა გულხადარაშვილი**, **კოლა სესიაშვილი**.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

გაზეთ „კომუნისტის“ 14 დეკემბრის ნომერში მოთავსებული იყო წერილი—„დანაშაულებრივი დაუდევრობა ბორჯომის მინერალური წყლების ქარხანაში“. წერილის ავტორი აღნიშნავდა, რომ ბორჯომის მინერალური წყლების ქარხანა სამარცხვინოდ ჩამორჩება საწარმოო დავალებათა შესრულებაში, ქარხნის ხელმძღვანელობა უდარდელობას იჩენს და არ ებრძვის გამცდენებს, ქარხანაში ადგილი აქვს მუშა-ხელის დენადობას, სუსტად იბრძვიან დანაკარგების წინააღმდეგ და სხვ. ყოველივე ამაში ბრალი ედებოდა ქარხნის დირექტორს კობახიძეს.

საქ. სსრ კურორტთა მთავარსამმართველოს უფროსი ამხ. ფალავა გვატყობინებს, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა. ქარხნის დირექტორი კობახიძე მოხსნილია სამუშაოდან. შეცვლილი არიან ქარხნის სხვა პასუხისმგებელი მუშაკებიც. მიღებულია გადამჭრელი ზომები მდგომარეობის გამოსასწორებლად.

დავაჩქაროთ ტრაქტორების რემონტი

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

წითელწყაროს მტს-ს დავალებული აქვს წელს კაპიტალურად შეაკეთოს 5 ტრაქტორი, მიმდინარე რემონტით—13, ხოლო 1939 წლის თებერვლის შუა რიცხვებისათვის სულ შეკეთებული უნდა ჰქონდეს 70 ტრაქტორი (აქედან 20 ტრაქტორი მოტორის ნაწილობრივი დაშლით უნდა შეკეთდეს).

ამ ფრიად სერიოზული ამოცანის დროულად შესრულებას წითელწყაროს მტს შესაფერ ყურადღებას არ აქცევს. ამის შედეგია, რომ მტს-ს დღემდე რემონტიდან არ გამოუშვია არცერთი ტრაქტორი: მეტიც — მტს-ს მხოლოდ ახლა მოაგონდა სახელოსნოს ახალ ადგილზე გადატანა.

გარდა ამისა სახელოსნო უზრუნველყოფილი არ არის კვალიფიციური კადრებით და ტრაქტორებისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილებით. ამავე დროს, მტს-ის დირექცია თითქმის არაფერი გაუკეთებია, შარშანდელი გამოცდილების მსგავსად, ტრაქტორების ძველი ნაწილების აღდგენისა და შეკეთებისათვის.

მტს-ისა და რაიმიწვანის სუსტი მუშაობის გამო რაიონში გაჭიანურდა მძრალად ხვნა. ეს მდგომარეობაც აფერხებს ტრაქტორების შეკეთებას.

მეოთხე კვარტალი უკვე იწურება. წითელწყაროს მტს-ის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი ჩაშლის საფრთხეში აყენებს ტრაქტორების დროულად და მაღალხარისხოვნად შეკეთებას.

ა. ბურჭულაძე.

ენგურის ცელულოზ-ქაღალდის კომბინატი

მარტოხელა მგზავრი ამ მიდამოში ვერ გაიჭაჭანებდა. შემოღამებისას ტურა-მგლების ყმუილი ზუგდიდამდისაც კი აღწევდა და ადამიანს შიშის ზარსა სცემდა. ჯოლეჯიანელები ამ ეწერში მგლებზე სანადიროდ გადიოდნენ, მაგრამ ბარდნარი, გვიმრა და საუკუნეობით ჭაობში გახარებული ლაქაში კოღო ანოფელესის, ტურა-მგლების და ქვეწარმავალთა სამედო თავშესაფარს წარმოადგენდა.

— წყეული ეწერი!..—ამბობდნენ მცხოვრებნი და სულ უფრო და უფრო შორდებოდნენ ამ ეწერს, უმურის სამებრძანებლოს.

ინჟინრები მოვიდნენ

ათიოდე წლის წინათ რაღაც მანქანებითა და აჭრელებული ჯოხებით შეიარაღებული ინჟინრები მოვიდნენ ამ ჭაობში. გახედ-გამოხედეს, დაათვალიერეს, რაღაც გაზომეს, ჩაიწერეს და წავიდნენ.

მალე მახლობელ სოფლებში ხმა გავრცელდა: ჯოლეჯიანში ქაღალდის ფაბრიკა უნდა ააგონო.

— ჯოლეჯიანი და ფაბრიკა! ხომ არ გაგიჟდა ეს ხალხი! მერე ამ ჭაობს რას უზამთ, მგლებმა სად იცხოვრონ? ფაბრიკა და ისიც ქაღალდისა! ეს ხომ წარმოუდგენელი ამბავია!—ამბობდა მოულოდნელობით გაოცებული ხალხი. ეს ნამდვილი ამბავი ყველას ჭორად მიაჩნდა...

არ გასულა დიდი ხანი...

არ გასულა დიდი ხანი და მიწის სამუშაოები დაიწყო. მიწის სამუშაოებს მუშათა საცხოვრებლების გამალებული მშენებლობა მოჰყვა. თანდათანობით აღიმართნენ მომავალი ფაბრიკის უზარმაზარი კორპუსები, სახლები, საშუალო სკოლის შენობა, საბავშვო ბაგები, პოლიკლინიკა, სტადიონი, საპარაშუტო კოშკი. მიწისზედა და მიწისქვეშა არხებმა საუკუნეობით დამყაყებულ და გულისამრევად აშმორებულ ჭაობს ბოლო მოუღო. გაჭრეს განიერი გზები. გზის ნაპირები ყვავილებითა და ზამთარ-ზაფხულ მწვანე მცენარეებით დაამშვენეს.

შავი დღე გაუთენდა ჭაობს, უმურს. კოღო ანოფელესს თავშესაფარი დაეკარგა. ტურა-მგლები ცხრამთას იქით გადაიკარგნენ. წყეული და მწირი ეწერი ხალხის მასაზრდოებელ, შემოსავლისა და მაძღარი ცხოვრების წყაროდ გადაიქცა. წინათ სამუშაოდ შორეულ კუთხეებში მიმავალმა მშრომელებმა აქვე, თავის კართან გაიჩინეს საქმე.

გადიოდა დრო. რკინა-დუღაბით ნაგებ კორპუსებს კორპუსები ემატებოდა, მოჰქონდათ ურთულესი მანქანები, რომლებზედაც გამოყვანილი იყო მარკა სსრკ-ის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატისა.

მაგრამ არ ეძინათ ხალხის მტრებსაც. ათასგვარი ბნელი ოინებით ცდილობდნენ ზიანი მიეყენებინათ ქაღალდის კომბინატისათვის. ამხანაგმა ლ. პ. ბერიამ საქართველოს ბოლშევიკთა ყრილობაზე აღნიშნა, რომ ენგურის ქაღალდის კომბინატი იყო ერთერთი ისეთი საწარმო, „რომელიც დიდი მავნებლობის ობიექტს წარმოადგენდა“, სადაც საზიზღარმა დივერსანტებმა დიდხანს აფათურეს ბილწი თათები. 1931 წელს მათ მოახერხეს მშენებლობის შეჩერება. მშენებლობის ორჯერ გადასინჯული პროექტი ისევ გადასინჯვასა და სერიოზულ შესწორებებს მოითხოვდა. 1935 წელს პროექტი ისევ გადაისინჯა და შესწორდა. უკანასკნელი პროექტით მშენებლობისათვის 32,5 მილიონი მანეთი გაითვალისწინეს, მაგრამ არც ეს იყო საკმარისი.

პარალელურად მუშაობა სწარმოებდა კომბინატის ბაზაში — ენგურის სატყეო-სამრეწველო მეურნეობაში. ბლომად მოზიდეს ხე-ტყე. წალენჯიხელი, ზუგდიდელი, გალელი კოლმეურნეები დაუზარელად, ხალისით მუშაობდნენ მომავალი ფაბრიკისათვის ნედლეულის მოსამარაგებლად. ჰკაფავდნენ ენგურის ხეობაში სოჭის ტყეს, აკეთებდნენ მორებად და მიჰქონდათ ქარხანაში იმ ანგარიშით, რომ

„ქარხანამ უნდა
მოგვცეს ქაღალდი
თეთრი და მაღალ
ხარისხოვანი“.

ენგურის ქაღალდის კომბინატის ყოველი მუშა და ინჟინერი იმ მისწრაფებით მუშაობდა, იმ შეგნებით შეჰყურებდა მაღალი მთებიდან აქაფებული ენგურით ჩამოზიდულ ხეებს, რომ ეს ხეები სულ ახლო მომავალში, როგორც ორდენოსანი პოეტი ალ. მაშაშვილი ამბობდა, გადაიშლებიან „სოციალისტური წიგნის ფურცლებზე“.

კომბინატის მშენებლობით დაინტერესებული იყო და მას დიდ ყურადღებას აქცევდა ქართველი ხალხის საყვარელი შვილი ამხანაგი **ლ. ბერია.**

1935 წლიდან მუშაობა არ შეწყვეტილა. უკანასკნელ ხანებში კომბინატი სულ უფრო და უფრო სრულყოფილ სახეს იღებდა. მონტაჟი გამალებით სწარმოებდა. აქ დიდ როლს თამაშობდა ახალგაზრდა სპეციალისტი, მოწყობილობათა ტექნიკოსი ამხ. მარია ვოსკრესენსკაია. იგი ფაბრიკის 22 ათას სხვადასხვა დეტალს თავისი ხელის თითებივით იცნობს და ამიტომაც, თუ სადმე რაიმე გაუჭირდებოდათ, მშველელად მას მოუხმობდნენ. მონტაჟი ჩინებულად დაამთავრეს.

მორი ქაღალდად იქცა

ენგურით ჩამოზიდული მორები იქვე მოწყობილ სახერხ ქარხანაში სტანდარტულად იხერხება. ფაბრიკამდე რკინიგზით მიაქვთ. დახერხილი ხე იყრება საგანგებოდ მოწყობილ აუზში, საიდანაც მექანიზებული მორსათრევები იწყება, შემდეგ „როლგანგები“ ხეს მოსამზადებელ სამქროში გადაიტანენ. აქ ხე დაიპობა, დაიჭრება და დაიხერხება. ამ სამქროში არის რთული მექანიზმები, რომლებიც იქვე, კომბინატის მექანიკურ სახელოსნოშია დამზადებული. სახელოსნოს ერთ-ერთი ძველი მომუშავე მიხ. გლადკიხი ხელმძღვანელობს.

დამჭრელ საღვურში გადასულ მორს დანიანი მბრუნავი დისკო ნაფოტებად აქცევს და ძრავის საშუალებით ე. წ. ციკლონს აწვდის. ციკლონი ნაფოტს ახარისხებს, მტვერს ჰაერში ჰფანტავს. თანაბარი ზომის ნაფოტებს პნევმატური მილი ჰაერის საშუალებით მომხარშველ სამქროსა და 40 მეტრიან კოშკებზე გაკეთებულ ბუნკერებში გადაისვრის. აქ ცელულოზის მისაღებად საჭიროა სიმჟავეები.

სიმჟავეთა დასამზადებლად აგებულია უზარმაზარი ქარხანა, რომელსაც აქ სამქროს ეძახიან, მაგრამ ამ „სამქროს“, თავის მხრით, ოთხი დიდი სამქრო აქვს. სიმჟავეებს ღებულობენ გოგირდის კოლჩედანიდან, რომელიც მოძმე აზერბაიჯანიდან მოდის. სიმჟავეთა ქარხნის საფქვავი, სადუღელე, საქაჩავი სამქროები ადამიანს აკვირვებენ თავისი შვიდსართულიანი ღუმელებით და თავბრუდამხვევი სიმაღლის კოშკებით.

სახარშავ სამქროში ხისაგან ცელულოზას ღებულობენ. ეს რბილი მასაა, რომელიც საწურავი კორპუსის რკინა-ბეტონის ოთახებში გადადის, საიდანაც მიხვეულ-მოხვეული და დაკლაკნილი მილების საშუალებით დამწმენდ - დამხარისხებელ სამქროში ისხმება. დაწმენდა-დახარისხების შემდეგ სათანადო ქიმიური შენაერთებით ცელულოზა თეთრდება და ფაფასავით დარბილებული მასა სასაქონლო როლებში გადადის.

აქ დიდი, მიხვეულ-მოხვეული, აღმა-დაღმა, წაღმა-უკუღმა, მარცხნივ და მარჯვნივ მგზავრობის შემდეგ გაფუებულ - გათეთრებული მასა ე. წ. ქაღალდის დარბაზს მიაღწევს. აქ ეს მასა ერთხელ კიდევ გაიწმინდება და მავთულბადეში გადადის, რომელიც თავის მხრივ უზარმაზარ [illegible] შირდება. ამ [illegible] ბი ცილინდრებიდან ბოლოს ქაღალდი მიიღება.

კომბინატის ძარღვი

ენგურის ქაღალდის კომბინატის ძარღვი, მისი „ნერვული“ სისტემა, მისი „სულისჩამდგმელი“ ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელსადგური. ელექტროენერგიას კომბინატი ტყვარჩელიდან ღებულობს. კომბინატის მახლობლად აგებულია ზუგდიდის სარაიონო ქვესადგური, სადაც რიონჰესიდან და ტყვარჩელიდან გამოყვანილი ენერგია ერთდება და ამით წესრიგდება ელექტრომეურნეობა. ამ ქვესადგურიდან ენერგიას მიიღებენ წალენჯიხისა და გალის რაიონების ფაბრიკა-ქარხნებიც, კოლმეურნეობებიც.

კომბინატი ჩვენს მოწინავე კულტურის ქვეყანას წლიურად 11.700 ტონა პირველხარისხოვან საწერ ქაღალდს მისცემს.

კომბინატის ადამიანები

კომბინატს ჩვენი ადამიანები აგებდნენ საბჭოთა კავშირში ჩვენივე ადამიანების მიერ დამზადებული მექანიზმებითა და ურთულესი მანქანებით. კომბინატი იზრდებოდა. მას ჩვენი ადამიანები ზრდიდნენ. კომბინატის მშენებლობაზე იზრდებოდნენ, იწვრთნებოდნენ ჩვენი კადრები, ეუფლებოდნენ ქაღალდის წარმოების რთულ ტექნიკას.

ამხ. დ. ლაგვილავა 1929 წელს კომბინატში მიწისმთხრელად მუშაობდა, ახლა მოწინავე ინჟინერია. ამხ. მიხ. ხვიჩია 1929 წელს ელექტროსადგურში მუშაობდა, ახლა საქვაბე სამქროს გამოცდილი ოსტატის სახელწოდება მოიხვეჭა. ინჟინერ ფილ. რამიშვილს ფაბრიკის „ჭირისუფალს“ უწოდებენ. იგი კარგად იცნობს კომბინატის თვითეულ წვრილმანს და მზრუნველადაც უვლის. ამხ. ბესა ჯანაშია უკვე მეცხრე წელია ამ კომბინატშია და კომბინატის მომარაგების საქმეს საუკეთესოდ ხელმძღვანელობს. კომბინატის ძველი მუშა ამხ. პ. მაღრაძე ელექტრომეურნეობას განაგებს, პ. მესხიას ქაღალდის დახლართული აგრეგატები იმორჩილებიან. ასევე კომბინატში წამოიზარდნენ გ. სართანია, ა. ბაქრაძე, მ. კოლოზიანცი, ნ. მარინოვი, ი. ნეპოჩატოვი, ა. ზემლიანოი, მ. ვოვინა, ა. სიხარულიძე, დ. თოდუა, ე. ტიხომიროვა, ი. ტაცენკო, დ. ქაჯუა, ი. ლატარია, ი. კისელიოვი, ნ. ფარცვანია, არ. ქერლიცინი, ს. ზჩიკაძე და მრავალი სხვა, რომლებსაც ახლა კომბინატის პასუხსაგები უბნები აბარიათ.

დიახ, კომბინატს ჰყავს საკუთარი კადრები, რომელთაც ემორჩილებიან კომბინატის რთული მექანიზმები და აგრეგატები!

აქ ერთმანეთს ძმურად მეგობრობენ ქართველი და რუსი, სომეხი და აფხაზი. ისინი ყველანი თანაბარი სიხარულით მოელოდნენ კომბინატის ამუშავებას.

ეს დღეც დადგა. ახლა ისინი სტახანოვურად იმუშავებენ იმისათვის, რომ სოციალისტურ სამშობლოს მისცენ საუკეთესო ხარისხის ქაღალდი, ენგურის ქაღალდი, რადგანაც ჩვენს ქვეყანას ქაღალდი ისე სჭირდება, როგორც ნახშირი, როგორც ნავთი, ფოლადი, როგორც პური!

შ. ჯიქია



ენგურქაღალდკომბინატი. ქაღალდის სამქრო.

სპეციალისტი გავხდი

ენგურის ქაღალდის კომბინატში მუშაობა მაშინ დავიწყე, როცა მშენებლობისათვის ნიადაგს ამზადებდნენ და ბარაკებისათვის ფიცრებს აშალაშინებდნენ. მეც მიწის თხრით დავიწყე მუშაობა. პირველად წყალსაქაჩის სათავე გავთხარე. არ მესმოდა რას ან რატომ ვაკეთებდი. მაგრამ ეს ფაბრიკა თანდათან გაიზარდა, მეც გავიზარდე და დავწინაურდი. თუ წინათ ჩემი სახელისა და გვარის ქაღალდზე გამოყვანა მიძნელდებოდა, ახლა წერა შემიძლია და კითხვაც. „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსს“ დამოუკიდებლად ვსწავლობ. კომბინატში ქაღალდის გამკეთებელი დაზგის ბრიგადირის სპეციალობა მივიღე. ფაბკომის თავმჯდომარედ ამირჩიეს.

მთელი ჩემი ენერგიით ვეცდები ფართოდ გავშალო კომბინატში სტახანოვური მუშაობა, რომ ქვეყანას სოციალისტური წიგნებისათვის საუკეთესო ხარისხის და იაფი ქაღალდი მუდამ გამოულეველი ჰქონდეს.

ანდრო ბაქრაძე
საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე.

ვიმუშავებთ მთელი მონდომებით

კომბინატის მშენებლობა, მანქანების აწყობა დამთავრდა... შეხედეთ დღეს ქაღალდის კომბინატს, რომელიც გადაჭიმულა 200 ჰექტარ ფართობზე მაღალი, სინათლიანი, ლამაზი კორპუსებით, განიერი მოასფალტებული ქუჩებით! ნახეთ საბჭოთა ინდუსტრიის პირმშო მანქანები, დამზადებული საბჭოთა მასალისაგან, საბჭოთა სპეციალისტების მიერ, და თქვენი გული სიამაყის გრძნობით აივსება!

ძლიერია საბჭოეთის ინდუსტრია, ძლიერია და ბედნიერია საბჭოთა ხალხი, დიდი ლენინ-სტალინის პარტიის მამობრივი მზრუნველობით გარემოსილი! კომბინატში გაიზარდნენ ახალი ადამიანები, ახალი ტექნიკით შეიარაღებულნი, გაჩნდნენ ადგილობრივი კადრები, სიმჟავის, ცელულოზის ქაღალდის ელექტროტექნიკის და სხვ. მცოდნენი.

სხვებთან ერთად მეც გავიზარდე, ავითვისე მოწინავე ტექნიკა.

1932 წელს დავიწყე მონტიორად მუშაობა, შემდეგ ცვლის ელექტროტექნიკოსი გავხდი. საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატად 1932 წლის ბოლოს მიმიღეს, დღეს კი სახელოვანი ლენინ-სტალინის პარტიის წევრი ვარ.

კვალიფიკაციის ასამაღლებლად ვიყავი ლენინგრადის ქაღალდის ფაბრიკაში. დღეს კი ვმართავ ურთულეს მანქანებს. ჩემთან არიან ახალგაზრდები, ჩემი ტოლნი, რომლებმაც ბეჯითად შეითვისეს ტექნიკა. ასეთებია: ნ. აკობია, გ. თოდუა, ნ. ჩურზინი და სხვ.

დავეუფლოთ მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, თვალისჩინივით გავუფრთხილდეთ აგრეგატებს, ღრმად შევითვისოთ ქაღალდის დამზადების ტექნიკა — აი ჩვენი და მთელი კოლექტივის გადაუდებელი ამოცანა.

პ. მესხია.
ელექტროსადგურის გამგე.

ჩვენი გამარჯვება

დიდხანს შენდებოდა ენგურის ცელულოზ-ქაღალდის კომბინატი, უფრო მეტ ხანს,—ვიდრე სხვა ამის მსგავსი საწარმო. ამ კომბინატის მშენებლობაში თავიანთ ბინძურ თათებს აფათურებდნენ საბჭოთა ხალხის უსაზიზღრესი მტრები, ტროცკისტ-ბუხარინელი ნაძირლები, წამლეჯები, ბანდიტები, ჯაშუშები, დივერსანტები.

მაგრამ ვერცერთი მათგანი ვერ გაეპარა საბჭოთა მართლმსაჯულებას! დღეიდან კულტურული რევოლუციის ფონდს შემატება ქაღალდის მარაგი, რომელიც ისევე აუცილებლად საჭიროა ჩვენთვის, როგორც პური, როგორც ნახშირი, როგორც ფოლადი.

კომბინატის საექსპლოატაციო კადრების ძირითადი ამოცანა ახლა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენს სამშობლოში დამზადებული მოწყობილობით კომბინატის სიმძლავრე აიყვანონ მაქსიმუმამდე და ყველას დაანახვონ ჩვენი მანქანების უკეთესი ხარისხი უცხოურთან შედარებით.

ინჟ. ფილ. რამიშვილი
საწარმოო სამქროთა მონტაჟისა და ბირის უფროსი.

ვ. დვალი

საქ. კ. პ. (ბ) ბათუმის რაიკომის მდივანი.

დავიცვათ საკოლმეურნეო ცხოვრების უმაღლესი კანონი

სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდება საკოლმეურნეო ცხოვრების უმაღლესი კანონია. ამ წესდების ურყევად გატარებით კოლმეურნეობები კიდევ უფრო მტკიცდებიან ორგანიზაციულად, მეურნეობრივად და პოლიტიკურად.

სასოფლო - სამეურნეო არტელის სტალინური წესდების განუხრელად გატარებით ბათუმის რაიონის კოლმეურნეობებში წარსულ წლებთან შედარებით მომხდარია დიდი გარდატეხა — კიდევ უფრო განმტკიცდა შრომის დისციპლინა, გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შემოსავალი. კოლმეურნეობა „წითელ ოქტომბერში“ საერთო შემოსავალი შარშან უდრიდა 213.195 მანეთს, ხოლო შრომადღეზე კოლმეურნეებს ერგოთ ფულად 4 მან. 23 კაპ. წელს ამავე კოლმეურნეობის საერთო ფულადი შემოსავალი 675.102 მანეთს უდრის და შრომადღეზე 10 მანეთზე მეტი გაიცემა. სოფ. ერგეს სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში შარშან საერთო ფულადი შემოსავალი 390.450 მანეთი იყო, შრომადღეზე კი გაიცა 4 მან. 17 კაპ. წელს ამ კოლმეურნეობის საერთო შემოსავალი 662.740 მანეთს აღწევს და შრომადღეზე 5 მან. 39 კაპეიკი გაიცემა.

ასეთივე მდგომარეობაა სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში, ურეხის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში. ასეთი ფაქტები ბევრია.

მიუხედავად ამ წარმატებებისა, საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1938 წლის 19 აპრილის დადგენილებათა შესრულების საქმეში ადგილი აქვს მთელ რიგ ნაკლოვანებებს. კოლმეურნეობებში ხარჯთაღრიცხვის გატარებაში მტკიცედ დანერგილი არ არის საჭირო დისციპლინა, არცერთ კოლმეურნეობაში არ შემოწმებულა შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვის შესრულება.

მთელ რიგ კოლმეურნეობათა ხარჯთაღრიცხვებში გათვალისწინებულია არარეალური შემოსავალი. მაგალითად, სანაპირო რაზმის სახელობის კოლმეურნეობას შემოსავალი გათვალისწინებული აქვს 23.250 მანეთი, ფაქტიურად მიღებულია მხოლოდ 6.000 მანეთი. კოლმეურნეობა „პირველ მაისს“ ხარჯთაღრიცხვით შემოსავალი გათვალისწინებული ჰქონდა 3.000 მანეთის რაოდენობით, ფაქტიურად მიღებულია 903 მანეთი. ასევე მოხდა ლენინის სახელობის კოლმეურნეობაშიაც, გათვალისწინებული ჰქონდათ მეხილეობიდან 6.190 მანეთის მიღება, ფაქტიურად მიღებულია 4.512 მანეთი.

ზოგიერთი კოლმეურნეობა კიდევ სუსტად იბრძვის ხარჯთაღრიცხვის დასაცავად. მაგალითად, მიმდინარე წლის 9 თვის განმავლობაში კოლმეურნეობა „პირველ მაისს“ საწვავ-საცხები მასალების შესაძენად გათვალისწინებული ჰქონდა 110 მანეთი, ფაქტიურად დახარჯა 1.433 მანეთი. აქვე მყნობელების დასაქირავებლად გათვალისწინებული ჰქონდათ 3.000 მანეთი, დახარჯეს 3.501 მანეთი.

ცუდი მდგომარეობაა მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაშიც. საწვავ-საცხები მასალების შეძენაზე გათვალისწინებული ჰქონდათ 450 მანეთი, ფაქტიურად დახარჯეს 2.151 მანეთი, ამავე კოლმეურნეობას ხარჯთაღრიცხვაში სრულიად არ ჰქონდა გათვალისწინებული მყნობელების დაქირავება. ფაქტიურად ამ საქმეზე დახარჯულია 4.397 მანეთი.

კოლმეურნეობებში არის სხვა სახის დამახინჯებაც. თხილნარის სასოფლო საბჭოს მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობაში ავანსი განაწილეს არა გამომუშავებული შრომადღეების, არამედ საჭიროების მიხედვით. მიმდინარე წელს უბრალო ხელწერილებით გაცემული ფული უდრის 1988 მანეთს. კოლმეურნეობის მოანგარიშე შარაშიძე დაუდევრად ეკიდება ანგარიშწარმოებისა და შრომის აღრიცხვის საქმეს. გარდა ამისა, მოანგარიშე შარაშიძე შემჩნეულია კომბინატორობაში. კოლმეურნეობის სახელით გამოტანილ ფულს პირადი განკარგულებით, თავისი სურვილისამებრ ასესხებს, ხოლო კოლმეურნეობის ანგარიშწარმოება ქაოტიურ მდგომარეობაშია.

მთელ რიგ კოლმეურნეობებში, როგორიცაა „ახალი ცხოვრება“, „კულტურა“, „გზა სოციალიზმის“, აგრეთვე მესამე ინტერნაციონალის, ტელმანის, ეჟოვის, კაგანოვიჩის და ვოროშილოვის სახელობისა (მახუნცეთის სასოფლო საბჭო) ბრიგადირების მიერ არ ხდება კოლმეურნეთა ნამუშევარის ყველდღიური აღრიცხვა და ყოველ ხუთ დღეში შრომის წიგნაკებში ჩაწერა.

რაიონის არცერთი კოლმეურნეობის გამგეობას საერთო კრებაზე არ განუხილავს საწარმოო გეგმებისა და შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვების კვარტალური შესრულება. გარდა კალინინის სახელობის კოლმეურნეობისა, არცერთ კოლმეურნეობაში გამოყოფილი არ არის ჯგუფები.

სტალინის, პარიზის კომუნის და ტელმანის სახელობის კოლმეურნეობებში შრომის დისციპლინა სუსტია. გამგეობა, ნაცვლად იმისა, რომ წევრებში აღმზრდელობითი მუშაობა აწარმოოს, მუშა-ხელის ნაკლებობაზე წუწუნს უნდება. მაგალითად, ტელმანის სახელობის კოლმეურნეობაში 7 კოლმეურნეს წელს სრულიად არა აქვს გამომუშავებული შრომადღეები. ამავე დროს აქ შრომადღეები კოლმეურნეობის გამგეობის მიერ დაქირავებულ ერთპიროვნულ მეურნეებს დაუწერეს.

ვხვდებით შრომადღეების განიავებას. მაგალითად, ეჟოვის სახელობის კოლმეურნეობაში და კოლმეურნეობა „ყარადერეში“ კოოპერატივის ნოქრებს და დარაჯებს წელს შრომადღეები დაუწერეს. ხოლო ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობაში (აჭარის აღმართის სასოფლო საბჭო) ასევე უწერდნენ შრომადღეებს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ჯასიმ ქოქოლაძეს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეობისათვის.

გამოკვლევით დადასტურდა, რომ რაიონის უმეტეს კოლმეურნეობაში არ სწარმოებს შესრულებული სამუშაოების შემოწმება და მიღება-ჩაბარების აქტების შედგენა, რაც დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს.

კოლმეურნეობებში ჯერ კიდევ სუსტად არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება და დამკვრელობა, არასაკმაოდ სწარმოებს ბრძოლა სტახანოველთა გამოვლინებისა და მათი გამოცდილების გავრცელება - დანერგვისათვის. 6 კოლმეურნეობა სრულიად არ არის ჩაბმული სოციალისტურ შეჯიბრებაში, მაგრამ იმ კოლმეურნეობებშიაც, რომლებიც სოცშეჯიბრებაში ჩაებნენ, არ მოუხდენიათ დადებულ ხელშეკრულებათა შესრულების შემოწმება. ამ ნაკლოვანებათა გამო კოლმეურნეობათა საგრძნობ ნაწილში წელს ერთწლიანი კულტურების მოსავლის აღების დროს ადგილი ჰქონდა დიდ დანაკარგებს. სანაპირო რაზმის სახელობის კოლმეურნეობაში გამგეობის მოუქნელი მუშაობის შედეგად 10 ჰექტარი სოიას მოსავლიდან 30 პროცენტი დაიკარგა. ასეთივე ბედი ეწია თითვის მოსავალს 26 კომუნარის სახელობის კოლმეურნეობაში, აგრეთვე კოლმეურნეობა „ახალ ცხოვრებაში“, „კულტურაში“ და „ყარადერეში“ მოუვლელობის გამო ადგილი ჰქონდა პირუტყვის დაავადებას. მეცხოველეობის განვითარებისა და პირუტყვის მოვლის საკითხებს ნაკლებ ყურადღებას აქცევს სტალინის სახელობის კოლმეურნეობაც (ორთაბათუმი).

ზოგიერთ კოლმეურნეობაში განსაკუთრებით სუსტია აგრომომსახურება და ბრძოლა აგროწესების შესწავლა-გატარებისათვის. რაიონის 48 კოლმეურნეობიდან მხოლოდ 19-შია ჩამოყალიბებული აგროწრეები და მათშიაც სისტემატურად არ სწარმოებს მეცადინეობა. ეჟოვის სახელობის კოლმეურნეობაში, რომელიც რაიონში ერთერთ მსხვილ კოლმეურნეობად ითვლება და რომელსაც თავისი აგროტექნიკოსი ჰყავს (ამხ. ბაკურიძე), უყურადღებობის გამო აგროწრე მეტად სუსტად მუშაობს. ასეთივე მდგომარეობაა: კაგანოვიჩის, კრუპსკაიას და ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობებში.

გარდა ამისა, კოლმეურნეობებში ადგილი აქვს სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების დამახინჯებასაც საკარმიდამო ფართობის მიზომვის საქმეში,—ზოგ კოლმეურნეს საკარმიდამო ნაკვეთი სრულიად არა აქვს, ნაწილი კი 1½ ჰექტარამდე მიწას ფლობს.

გარდა კალინინის, სტალინის და ლენინის სახელობის კოლმეურნეობებისა, არცერთ კოლმეურნეობაში სარევიზიო კომისიების მუშაობა დამაკმაყოფილებელი არ არის — არ ხდება რევიზია ყოველ კვარტალის ბოლოს. გარდა ამისა, სარევიზიო კომისიები რევიზიას აწარმოებენ მხოლოდ ერთ რომელიმე დარგში, განსაკუთრებით ფინანსიურ დარგში, დანარჩენ სამუშაოებს კი უყურადღებოდ სტოვებენ. მთელ რიგ კოლმეურნეობებში სარევიზიო კომისიის შემადგენლობა სრულიად არ შეეფერება დაკისრებულ მოვალეობას და დამტკიცებული არ არის რაიაღმასკომის პრეზიდიუმის მიერ.

თავის მოხსენებაში საქ. კ. პ. (ბ) XI ყრილობაზე ამხანაგმა ლ. ბერიამ მიგვითითა: — „საჭიროა მხოლოდ ყოველდღიური კავშირი ვიქონიოთ კოლმეურნეობებთან, არ მოვწყდეთ მათ, მუდამ ვიყოთ მათი მუშაობის კურსში, მტკიცედ ვიცოდეთ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდება და ყველა მისი დამატება და განმარტება, და თავის დროზე ოპერატიულად ვეხმარებოდეთ კოლმეურნეობებს შენიშნულ ნაკლთა აღმოფხვრაში“.

ბოლშევიკური გულახდილობით უნდა ვაღიაროთ, რომ ამ მიმართულებით ჩვენ ბათუმის რაიონში ცოტა გვაქვს გაკეთებული. რაიონული ორგანიზაციების ხელმძღვანელობა კოლმეურნეობებისადმი ჯერ კიდევ სათანადო სიმაღლეზე ვერ დგას.

საქ. კ. პ. (ბ) ბათუმის რაიონის პარტორგანიზაციების და სამიწათმოქმედო ორგანოების წინაშე დასმულია სერიოზული მნიშვნელობის ამოცანა, — ძირფესვიანად გავაუმჯობესოთ მუშაობა საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და სახკომსაბჭოს 1938 წლის 19 აპრილის დადგენილებათა შესრულებისათვის, ყოველმხრივ უნაკლოდ და ურყევად გავატაროთ სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდება, უზრუნველვყოთ კოლმეურნეობათა შემდგომი ორგანიზაციულ-სამეურნეო და პოლიტიკური განმტკიცება, კოლმეურნეთა შეძლებულობის კიდევ უფრო სწრაფი ზრდა და ყველა კოლმეურნეობის ბოლშევიკურ კოლმეურნეობებად გადაქცევა. ამ ამოცანის განხორციელებისათვის ჩვენ ბოლშევიკურად ვიბრძოლებთ.

ეროვნული

მოსახლეობის საკავშირო აღწერის წინ

ჭიათურის რაიონი

ჭიათურა, (საქინფორმი). ჭიათურის რაიონში მოსახლეობის სრულიად-საკავშირო აღწერას თავიდანვე სერიოზულად მოეკიდნენ. რაიონი დაყოფილია 6 სააღწერო განყოფილებად და 170 სააღწერო უბნად. მოსახლეობის აღწერისათვის შერჩეული და დამტკიცებულია სააღწერო კადრები — განყოფილების გამგე და მათი მოადგილე 12 კაცი, ინსტრუქტორ-კონტროლიორი — 62 კაცი და აღმწერლები — 254 კაცი. მათ შორის 243 მასწავლებელია.

მოსახლეობის აღწერისათვის გამოყოფილმა ყველა მუშაკმა უკვე გაიარა სამდღიანი მომზადება და დაწვრილებით გაეცნო აღწერის ორგანიზაციულ და ტექნიკურ საკითხებს. გაშლილია მასობრივ-პოლიტიკური და ახსნა - განმარტებითი მუშაობა; სააღწერო განყოფილებებსა და უბნებში ტარდება საუბრები და ახსნა-განმარტებანი მოსახლეობის სრულიად-საკავშირო აღწერის უდიდეს მნიშვნელობაზე.

კარგადაა დაყენებული მასობრივი ახსნა-განმარტებითი მუშაობა სოფ. საჩხერის, ვაჭევის, კაცხის, კორბოულის, არგვეთის, გორისის, სვერის, და სხვა სასოფლო საბჭოებში.

უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად გაუმჯობესდა რაიონული გაზეთის „ჭიათურის მაღაროელის“ მუშაობაც. გაზეთი სისტემატურად აშუქებს აღწერისათვის მოსამზადებელი მუშაობის მიმდინარეობას; ეწყობა აგრეთვე აღწერის საკითხებზე ადგილობრივი რადიოგადაცემები და სხვა.

არის ნაკლოვანებანიც; დღემდე მოუწესრიგებელია ტრანსპორტის საკითხი, აღმწერლებს უძნელდებათ რაიონის ცენტრიდან შორეულ ადგილებში მისვლა და მუშაობის ჩატარება. მოუწესრიგებელია აგრეთვე კავშირგაბმულობის მუშაობაც.

წარმოება-დაწესებულებათა ზოგიერთი ხელმძღვანელი და მუშაკი აშკარა შეუფასებლობას იჩენს მოსახლეობის აღწერისადმი. მაგალითად, ჩალვაკის საბჭოს ბუღალტერმა ვუგუნავამ თავის თანამშრომელს ამხ. სვანიძეს, რომელიც გამოყოფილია აღწერისათვის, სამუშაოდან მოხსნით დაემუქრა იმ შემთხვევაში, თუ იგი მოსახლეობის აღწერაზე იმუშავებდა; მარგანტრესტის ხელმძღვანელებს დიდი დავა დასჭირდათ იმისათვის, რათა გაენთავისუფლებიათ სამუშაოდან აღწერის ინსტრუქტორ-კონტროლიორებად გამოყოფილი კიკნაძე და ბაქრაძე. ასეთივე მდგომარეობას ჰქონდა ადგილი რაიონის „საქვაჭრობაში“ და სატრანსპორტო განყოფილებაში. ეს მდგომარეობა გამოსწორდა მხოლოდ საქ. კ. პ. (ბ) ჭიათურის რაიკომის ჩარევის შემდეგ.

ჭიათურის რაიონი მზად არის მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერისათვის.

თელავის რაიონი

თელავი, (საქინფორმი). მოსახლეობის აღწერისათვის მზადების შემოწმებამ გვიჩვენა, რომ მასობრივი ახსნა - განმარტებითი და საავიტაციო მუშაობა მთელ რიგ სასოფლო საბჭოებში სუსტად არის დაყენებული.

სასოფლო საბჭოებზე მიმაგრებული რაიაღმასკომის პლენუმის წევრები ადგილებზე არაფერს არ აკეთებენ და რაიაღმასკომს დღემდეც არ მოუსმენია მათი ინფორმაციები. სუსტად მუშაობენ აღწერის ხელისშემწყობი კომისიებიც. კომისიების თავმჯდომარეებს ჯერაც არ მიუღიათ ინსტრუქტაჟი. ფშაველთა სააღწერო განყოფილებას არა აქვს სამუშაო ოთახი, კურდღელაურის სას. საბჭოს სააღწერო განყოფილებას სამუშაო ოთახი საბჭოზე დაშორებით გამოუყვეს. დანარჩენ საბჭოებში სააღწერო განყოფილებისათვის გამოყოფილია ბინები, მაგრამ მათ სათანადო კეთილმოწყობაზე არავინ ზრუნავს.

აღწერის უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა შეგნებული არა აქვს აღწერის ზოგიერთ მუშაკს — აღმწერთა მოსამზადებელი კურსები მიატოვეს გ. ბალათრიშვილმა, ვერა მესხიშვილმა, ა. გრიგოლაშვილმა და ა. აჯამამუკოვმა. მათ წინააღმდეგ ზომები არავის მიუღია.

ძალზე სუსტად მუშაობს რაიონის კავშირგაბმულობა; დუისის, ჯოყოლოს, მაღრაანის, ქვემო ალვანის, კონდოლისა და სხვა სასოფლო საბჭოებში სატელეფონო ქსელის მუშაობა მოუწესრიგებელია, რის გამო შეუძლებელი ხდება რაიონიდან კავშირის დაჭერა აღნიშნულ საბჭოებთან. კავშირგაბმულობის რაიონის განყოფილების უფროსი ამხ. მატუაშვილი ამ საქმეს უპასუხისმგებლოდ ეკიდება.

სას. საბჭოებში მოუწესრიგებელია გარდაცვალებულთა და ახალდაბადებულთა აღრიცხვა. სოფ. აკურაში ჩაუწერელი არიან ახალდაბადებულნი და ამოუწერელი არიან გარდაცვალებულები.

ბაღდათის რაიონი

ბაღდათი, (საქინფორმი). მოსახლეობის საკავშირო აღწერის სამზადისი ბაღდათის რაიონში დროულად დაიწყო. რაიონი დაყოფილია 2 სააღწერო განყოფილებად და 14 საინსტრუქტორო უბნად. 1-ლ დეკემბრიდან ინსტრუქტორ-კონტროლიორთა და აღმწერთა კადრების მოსამზადებლად მოეწყო 20-დღიანი გადასამზადებელი კურსები. კურსები გაიარა 19 ინსტრუქტორ-კონტროლიორმა და 70 აღმწერმა. კურსდამთავრებულთა შემოწმებიდან გამოირკვა, 70 აღმწერიდან 56-მა ფრიადზე დაამთავრა კურსები. სააღწერო საქმის შესწავლაში განსაკუთრებით გამოირჩევიან ვ. ენდელაძე, ცაბიურა, ქაშაკაშვილი, შურა მუაძე, გ. მშვილდაძე და სხვები.

რაიონის მოსახლეობაში ფართოდ არის გაშლილი მასობრივი ახსნა-განმარტებითი მუშაობა მოსახლეობის სრულიად-საკავშირო აღწერის მნიშვნელობაზე. კოლმეურნეობათა საერთო კრებებზე და სასოფლო საბჭოებში საუბნო კრებებზე ფართოდ იქნა განხილული აღწერის მნიშვნელობა. ამჟამად მიმდინარეობს საკომლო სიების შემოწმება.

წითელ-წყაროს რაიონი

წითელი წყარო, (საქინფორმი). საბჭოების მიხედვით შედგენილია სქემატური გეგმები, მომზადებულია 32 აღმწერი. მომზადებულია 15 ინსტრუქტორ-კონტროლიორი, აღწერაში მონაწილეობას მიიღებს 41 მასწავლებელი. წარმოება-დაწესებულებებში და კოლმეურნეობებში ჩამოყალიბებულია და მუშაობს 43 აღწერის ხელშემწყობი კომისია.

ამასთან ერთად არის ნაკლიც. სასოფლო საბჭოებმა დღემდე ვერ უზრუნველჰყვეს საკომლო დავთრების წესიერად შედგენა. პირველად შედგენილ საკოლმეურნეო დავთრებში დაშვებულ იქნა შეცდომები და ტარდება მათი ხელმეორედ შედგენა. არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს მასობრივი ახსნა-განმარტებითი მუშაობა.

პარტიული ცხოვრება

მარქსიზმ-ლენინიზმის შესასწავლად დამოუკიდებელი მუშაობის გამოცდილების გაცვლა-გამოცვლა

პირველი წარმატებანი

ჩემს პოლიტიკურ განათლებაზე დამოუკიდებლად მუშაობას მე შევეცადე ჯერ კიდევ 1925 წელს, როდესაც სამხედრო - სამედიცინო აკადემიის მე-5 კურსზე ვსწავლობდი. მინდოდა შემესწავლა მარქსის „კაპიტალი“. მაგრამ შევხვდი რა პირველ თავებში ჩემთვის საკმაოდ ძნელ გადმოცემას და ვერ მივიღე რა სათანადო დახმარება, მივედი ნაჩქარევ (როგორც ახლა მივხვდი) დასკვნამდე, რომ ეს ჩემი ჭკუის საქმე არ არის.

იგივე დამემართა მეორედაც, უკვე ჩემი პრაქტიკული მუშაობის წლებში. ამაში მნიშვნელოვნად დამნაშავე იყო წრეებში პროპაგანდის მეთოდი, რომელიც იმ დროს იყო გაბატონებული. ეს ახშობდა ყოველგვარ ინიციატივას, დამოუკიდებლობას. ავიღებ ჩემს თავს. ჩემი სპეციალობით მე მიჩვეული ვარ თეორიული შრომების დამოუკიდებლად კითხვას. მე კი, როგორც კომუნისტს, მაიძულებდნენ შემესწავლა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ნაწარმოებნი წრეებში, ამასთან მოწყობილი არ იყო კვალიფიციური კონსულტაციები და ლექციები.

პროპაგანდის სკოლარული მეთოდი არ აღვიძებდა ინტერესს და მისწრაფებას მარქსიზმ-ლენინიზმის ნაწარმოებებზე დამოუკიდებელი მუშაობისაკენ.

„საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ გამოცემამ მძლავრი ბიძგი მისცა მარქსიზმ-ლენინიზმის ნაწარმოებთა ღრმად შესწავლას. ბევრმა პარტიულმა და უპარტიო ბოლშევიკმა უარჰყო ცრურწმენა, თითქოს „შეუძლებელი“ იყოს თავისი პოლიტიკური განათლების ამაღლებაზე დამოუკიდებლად მუშაობა.

მე მტკიცედ გადავწყვიტე, ლენინ-სტალინის პარტიის გმირული ისტორიის შესწავლასთან ერთად, შევისწავლო მარქსის გამოჩენილი მეცნიერული ნაწარმოები „კაპიტალი“. ამაში მე მნიშვნელოვნად დამეხმარა „პრავდაში“ გამოქვეყნებული სტატია „როგორ შევისწავლოთ მარქსის „კაპიტალი“. მე დავრწმუნდი, რომ ამ შესანიშნავი მეცნიერული ნაწარმოების ღრმად შესწავლა მე შემიძლია.

სანამ პარტიის ისტორიის ღრმად შესწავლას შევუდგებოდი, მე წავიკითხე მთელი წიგნი — „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“ და ამით შემექმნა საერთო წარმოდგენა მასზე. ამის შემდეგ ხელი მოვკიდე ღრმად შესწავლას კონსპექტის შედგენით.

პირველი თავის შესწავლისას წავიკითხე: პლეხანოვის წიგნი „ჩვენი უთანხმოებანი“ და ვ. ი. ლენინის „რანი არიან „ხალხის მეგობრები“ და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?“. მეორე თავისათვის საჭირო გახდა ერთხელ კიდევ წამეკითხა (თავის დროზე უკვე წაკითხული მქონდა) ლენინის წიგნები: „რა ვაკეთოთ?“, „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან“.

ახლა დავამთავრე „კაპიტალის“ III თავის შესწავლა და ვ. ი. ლენინის წიგნი „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციაში“.

მე ვცდილობ საუკეთესო მწერლების ნაწარმოებებში ვიპოვო საილუსტრაციო მასალა ჩვენი წარსულის უკეთ გაგებისათვის. მაგალითად, „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ პირველ თავზე რომ ვმუშაობდი, სადაც ლაპარაკია იმაზე, რომ ბატონყმობის გაუქმების შემდეგაც მემამულეები კვლავ ჩაგრავდნენ გლეხებს, მე წავიკითხე ნიჭიერი რუსი პოეტის ნ. ა. ნეკრასოვის ლექსები. მათში ნაჩვენებია გლეხთა მწარე ცხოვრება, მემამულეების მიერ მათი სასტიკი ექსპლოატაცია და აბუჩად აგდება ბატონყმობის დროს და 1861 წლის რეფორმის შემდეგ.

ჩემში ასე მუშავდება დაუძლეველი მოთხოვნილება სისტემატურად ავიმაღლო პოლიტიკური განათლება. როგორღაც მეუცნაურება, როდესაც ისეთი დღე გამოვა ხოლმე, რომ გაზეთს ვერ ვკითხულობ.

ზოგიერთი ამხანაგი აცხადებს, საკუთარ თავზე მუშაობისათვის დრო არა გვყოფნისო. ეს არ არის მართალი. თვითეულ მუშაკს, როგორადაც არ უნდა იყოს იგი დატვირთული, შეუძლია იპოვნოს და კიდეც უნდა იპოვნოს დრო სწავლისათვის. საჭიროა მხოლოდ გემო გაუგო თეორიას, გამოიჩინო ამაში შეუპოვრობა და ხასიათის სიმტკიცე, გონივრულად მოაწყო სამუშაო დრო. მეც ძალიან დატვირთული ვარ. მაგრამ ეს ხელს არ მიშლის ყოველდღე ორ-ორი საათი მოვანდომო წიგნზე, საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის შესწავლაზე დამოუკიდებლად მუშაობას. სწავლისათვის მირჩევნია დილის საათები.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ისტორიული დადგენილება „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ გამოშვებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ“ ბოლოს უღებს კუსტარულობას და არევ-დარევას, რაც პროპაგანდაში იმჩნეოდა. მარქსიზმ-ლენინიზმის შესწავლის მთავარი, ძირითადი მეთოდი უნდა გახდეს წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის მეთოდი.

ბრიანსკის პოლიკლინიკის ექიმი
როზოვი
(„ბრიანსკი რაბოჩი“).

ჩატარდა ხაშურის რაიკომის პლენუმი

ხაშური, 26 დეკემბერი (საქინფორმი). ამ დღეებში ჩატარდა საქ. კ. პ. (ბ) ხაშურის რაიკომის მეხუთე პლენუმი. პლენუმმა მოისმინა ამხ. ლუდუშაურის მოხსენება რაიკომის განვლილი მუშაობის შესახებ.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 20 კაცმა.

სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით პლენუმმა რაიკომის მდივნის მოვალეობისაგან გაანთავისუფლა ამხ. ლუდუშაური.

პლენუმმა რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. **ალექსანდრე ხუჯაძე.**

თამარ ძაძამია მიღებულია პარტიაში

წალენჯიხა, (საქინფორმი). ლიის სერგო ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის პირველადმა პარტორგანიზაციამ საქ. კ. პ. (ბ) რიგებში მიიღო საუკეთესო სტახანოველი ჩაის მკრეფავი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი თამარ მიხეილის ასული ძაძამია.

თბილისი. ტრამვაისა და ტროლეიბუსის ტრესტის ბიბლიოთეკის გამგე ამხ. ვ. შუბლაძე (მარცხნივ) კონსულტაციას უწევს პარკის მუშა-მოსამსახურეებს, რომლებიც სწავლობენ საკ. კ. პ. (ბ) ისტორიას.

ფოტო ვ. ჩერკასოვისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.).

პრესის მიმოხილვა

არ დავკმაყოფილდეთ მიღწეულით

„ტყიბულის მაღაროელი“

საქ. კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიკომისა და რაიაღმასკომის ორგანო.

ტყიბულის ბოლშევიკებმა სერიოზული წარმატებები მოიპოვეს პარტიისა და მთავრობის სტალინური დავალების—საქართველოსა და ამიერ-კავკასიის მრეწველობის საკუთარი ქვანახშირით უზრუნველყოფის განხორციელებისათვის ბრძოლაში. პირველად ტყიბულქვანახშირის ტრესტის არსებობის მთელს ისტორიაში წლიური გეგმა ვადაზე ადრე—19 დეკემბრისათვის შესრულდა.

ტყიბულის მაღაროელთა ამ წარმატებაში თავისი წვლილი მიუძღვის გაზეთ „ტყიბულის მაღაროელსაც“. „ტყიბულის მაღაროელი“ სისტემატურად აშუქებს მაღაროების მუშათა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა ბრძოლას ქვანახშირის ამოღების გაზრდისათვის. გაზეთი აშუქებს მაღაროებში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის საკითხებს, იბრძვის პარტიული მუშაობის გაუმჯობესებისათვის. გაზეთი აშუქებს, თუ როგორ ხორციელდება სტალინური სახალხო კომისრის ამხანაგ ლ. მ. კაგანოვიჩის მითითებები მოსამზადებელ სამუშაოთა ჩამორჩენის ლიკვიდაციის, ანტიმექანიზატორულ განწყობილებათა აღმოფხვრისა და მექანიზმების სრული გამოყენების, შრომის ნაყოფიერების გაზრდისა და თვითღირებულების შემცირების, ციკლურობის დანერგვისა და სხვა მრავალი საკითხის შესახებ. თავისი 20 სექტემბრის ნომრის სარედაქციო წერილში—„როგორ სრულდება ამხანაგ კაგანოვიჩის ბრძანება“ გაზეთი ამჟღავნებს მანქანათა გამოუყენლობის ფაქტებს, აღნიშნავს მოსამზადებელი სამუშაოების ჩამორჩენას და აშკარავებს მის მიზეზს. 24 სექტემბრის ნომრის მოწინავე წერილში „ცვლის უფროსი“ დაყენებულია მნიშვნელოვანი საკითხი ცვლის უფროსთა ტექნიკური ჩამორჩენილობის ლიკვიდაციის შესახებ. „ცვლის უფროსთა შორის ტექნიკური უცოდინარობის ლიკვიდაცია,—ნათქვამია ამ მოწინავეში,—ერთერთი მთავარი ამოცანაა. იგი მთავარია იმიტომაც, რომ ამჟამად გაცხოველებით მიმდინარეობს მაღაროების მექანიზაცია“. 30 სექტემბრის ნომერში დაბეჭდილი წერილი „რატომ ჩამორჩა უბანი“ საქმიანია და ეხმარება მაღაროელებს ნაკლოვანებათა აღმოფხვრაში. ანტიმექანიზატორულ განწყობილებათა წინააღმდეგ მიმართულია 24 ოქტომბრისა და 12 ნოემბრის ნომერში დაბეჭდილი წერილები—„პიტკარლოდერი“ საუცხოოდ მუშაობს“ და „სახკომის მითითება არ სრულდება“. 18 დეკემბრის ნომერში გაზეთმა დაბეჭდა წერილი „რა მოგვცა ციკლურობის გრაფიკის დანერგვამ“. მრავალი ასეთივე საქმიანი წერილი იბეჭდება „ტყიბულის მაღაროელში“.

გაზეთი სისტემატურად იბრძვის სოციალისტური შეჯიბრების აღმავლობისათვის, სტახანოვური მოძრაობის ზრდისათვის. ის აღრმავებდა და აძლიერებდა ახალგაზრდა მაღაროელთა შეჯიბრებას დედა-სამშობლოსათვის საჩუქრების მოსამზადებლად, ფართოდ აშუქებდა წინასაოქტომბრო შეჯიბრების მიმდინარეობას, აღრმავებს და ზრდის შეჯიბრებას დონბასის და ტყიბულის მაღაროელთა შორის. მთავარი აქ ის არის, რომ გაზეთი არ კმაყოფილდება ვალდებულებათა აღების შესახებ ცნობების მოთავსებით, არამედ ახდენს ამ ვალდებულებათა შესრულების პოპულარიზაციასაც. თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც გაზეთი ბეჭდავს მასალებს სტახანოველთა გამოცდილების შესახებ. კარგია, მაგალითად, 18 ოქტომბრის ნომერში დაბეჭდილი წერილი „სტახანოველი მნგრეველი ალექსანდრე დარსაძე“. ასევე კარგია 18 ნოემბრის ნომერში დაბეჭდილი წერილი „ყველას შეუძლიან გახდეს სტახანოველი“. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ გაზეთის მუშაობა სტახანოვური მუშაობის გამოცდილების ურთიერთგაზიარების დარგში საკმაო არ არის.

გაზეთი დიდ ყურადღებას უთმობს მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესების საკითხს, ათავსებს წერილებს ბინათა მშენებლობის, მათი რემონტის, სასადილოების მუშაობის, საერთო საცხოვრებლების და სხვათა შესახებ. გაზეთი ამჟღავნებს მრავალ ნაკლს, მაგრამ მას ერთხელაც არ უცნობებია თავისი მკითხველებისათვის, თუ რა ზომები იქნა მიღებული მის მიერ მხილებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. ეს ნიშნავს, რომ გაზეთი ბოლომდე არ მიჰყვება დაწყებულ საქმეს, არ აწყობს შესრულების შემოწმებას.

ჯერ კიდევ თავისი 16 ივლისის ბრძანებაში „ტყიბულქვანახშირის ტრესტის მუშაობის შესახებ“ ამხანაგმა ლ. მ. კაგანოვიჩმა აღნიშნა:

„შრომის დისციპლინა ტრესტში შემავალ მაღაროებში დაბალ დონეზე დგას. მაგალითად, ლენინის სახელობის მაღაროში აპრილში 620 მუშიდან ყოველდღიურად სამუშაოზე არ ცხადდებოდა 60-80 კაცამდე, სამუშაოზე გამოუსვლელობამ 14-20 პროცენტს მიაღწია. მსგავს მდგომარეობას, შრომის დისციპლინის დარგში, ადგილი აქვს სტალინის სახელობის მაღაროშიც“.

ამხანაგ კაგანოვიჩის ბრძანების ეს მუხლი გაზეთ „ტყიბულის მაღაროელს“ ავალებდა ფართო მუშაობა გაეშალა შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, მუშათა დენადობისა და ფრენიობის ლიკვიდაციისათვის. ნამდვილად გაზეთს ამ დარგში აქამდე არაფერი გაუკეთებია. გაზეთის მიხედვით ვერც კი გაიგებთ, თუ რა მდგომარეობაა ტყიბულის მაღაროებში შრომის დისციპლინის მხრივ. ახლა მაინც, როდესაც ჩვენს ქვეყანაში გაიშალა საერთო ბრძოლა სოციალისტური შრომის კულტურის განმტკიცებისათვის, შრომის რკინისებური დისციპლინის დანერგვისათვის, „ტყიბულის მაღაროელმა“ სასწრაფოდ უნდა მოახდინოს გარდატეხა და გამოასწოროს საქმე.

ტყიბულის მაღაროელების წინაშე მომავალ წელს ახალი უფრო დიდი ამოცანები დგას. გაზეთი „ტყიბულის მაღაროელი“ არ უნდა დაკმაყოფილდეს მიღწეულით. მან ყოველმხრივ უკეთესად უნდა იმუშაოს, რომ სათანადო დახმარება გაუწიოს ტყიბულის ბოლშევიკებს მათზე დაკისრებულ ამოცანათა განხორციელების საქმეში.

ალექსანდრე მრევლიშვილი

(გარდაცვალებიდან 5 წლის შესრულების გამო)

ალ. მრევლიშვილი სიმართლის მხატვარი იყო და მიტომაც მისმა ნათელმა და აზრიანმა სურათებმა უკვდავჰყო მისი სახელი.

გასული საუკუნის 80-იანი წლების სასოწარკვეთილებამ, პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგ გამძვინვარებულმა რეაქციამ, იმპერიალისტური ომის გახრწნილმა ატმოსფერომ მოსწამლა და მეწვრილმანურ განწყობილებათა ჭაობმა ჩაითრია რეალისტური ხელოვნებისაგან გზააცდენილი ზოგიერთი ოსტატი. ალ. მრევლიშვილი კი დარჩა თავისი რეალისტური ფუნჯის ბოლომდე ერთგული და მისი ხმა გაბედულად ისმოდა სიმართლის მთქმელი, ბოროტების მამხილებელი ხელოვნების დასაცავად. 1914 წ. ქართული სცენის მოღვაწეთა ყრილობისათვის ჩატარებული ანკეტის კითხვებზე: „რას უსურვებთ ქართულ თეატრს?“,—უკვე ათეული წლების შემოქმედებით სახელმოხვეჭილმა მხატვარმა ა. მრევლიშვილმა უპასუხა: „ვუსურვებ, რომ უტყუარი სარკე იყოს ცხოვრებისა; რომ გვიჩვენებდეს ჩვენს თვალში ძელსა; გულის წუხილს თუ მხნეობას სწორად აღგვიძრავდეს; მასთან იყვეს ყველაფერში შნოიანად გამომჩინებელი“. ამ სიტყვებში შესანიშნავი ლაკონიურობით არის აღბეჭდილი რეალისტი ოსტატის მხატვრული მრწამსი,—ის, რის განხორციელებასაც მოანდომა მხატვარმა თავისი სიცოცხლე.

ალ. მრევლიშვილის მხატვრობა მართლაც რომ „უტყუარი სარკე იყო ცხოვრებისა“. მის ცხოველ ტილოებზე მართლად და დამაჯერებლად, ჩაგრულთა თანაგრძნობით და მტარვალებისადმი ზიზღით არის ასახული ქართველი ხალხის ცხოვრება. მისი შემოქმედება არის სარკე, რომელშიაც ასახულია გლეხკაცობის ჩაგვრაწამება მემამულეთაგან („ტყეში მოასწრეს“), მშრომელთა აღვირახსნილი ყვლეფა მევახშე ჩარჩ-ვაჭრებისაგან, („დაბალი ლობე“), ხუცეს-დიაკვნებისაგან („დრამის აკრეფა“) და მექრთამე ჩინოვნიკებისაგან („კანცელარიის წინ“).

ალ. მრევლიშვილი შორს იყო ყოველგვარი ილუზიებისაგან, არასოდეს არ უვარჯიშებია თავისი ფუნჯი ცუდის კარგად მოჩვენებისათვის, მას ჰყოფნიდა გამბედაობა საკუთარი ქვეყნის ცხოვრებაში „ძელი დაენახა“ და თავის ხელოვნების ენაზე ყველასათვის მისაწვდომად სიმართლე ეთქვა. ის არ სწერდა ფერმეტყველებითი ეფექტებისათვის, მას ახელილი ჰქონდა თვალები ცხოვრების უკუღმართობაზე და გაბედულად სწერდა მამხილებელ სურათებს.

ა. მრევლიშვილის ფუნჯი ნაციონალურ-გამანთავისუფლებელი ბრძოლის ჰანგზედაც ჟღერდა („კრწანისის ბრძოლის შემდეგ“) და ბარათაშვილის რომანტიული ამბოხის გამომხატველ მერანის ქროლვასაც უმღეროდა („მერანი“). მაგრამ უმეტესად კი მაინც სოციალური უსამართლობის მამხილებელ ტილოებს ჰქმნიდა („განთიადი პარიზში“, „მეცენატი ლუქსემბურგის მუზეუმში“). მისი ფუნჯი პასიური აღმწერლობით როდი იზღუდებოდა, მხატვარს სოციალური პერსპექტივა გააჩნდა, მისი ნახატებიდან მოისმის 1905 წ. რევოლუციური ბრძოლისაკენ მომწოდებელი ხმა („1905 წ. რევოლუციის ამსახველი პანოების ესკიზი“).

ა. მრევლიშვილის შემოქმედებას ღრმა ინტერნაციონალიზმი ახასიათებდა. ის ერთნაირი სიყვარულით სწერდა ქართველი და რუსი გლეხკაცობის ბედზე, ერთნაირი სიძულვილით ამხელდა რუსი მემამულისა თუ ქართველი თავადის, ქართველი მევახშის და პარიზელი ბურჟუას უსამართლობას.

რეალისტ ოსტატს შესანიშნავად ეხერხებოდა ამბავის თხრობა. ამ მხრით მას ქართველ მხატვრებში ბადალი არ გამოსჩენია. პირდაპირ განცვიფრებთ მისი რეალისტური ხედვის სიმახვილე. ცხოვრების ღრმა ცოდნა, მოვლენის აზრის სწორად ამოხსნის უნარი და მოსათხრობი ამბის ფერისა და ხაზის ხელოვნების ენაზე თარგმნის ოსტატობა.

ალ. მრევლიშვილის ყოველი სურათი ნათელია და ამაღელვებელი. და ეს იმით, რომ ფერმეტყველებაში ძნელად მისაღწევ ზომიერებას იჩენს. მისი პალიტრა იმდენად უხვია, რომ სურათის აზრი ნათელი გახადოს და იმდენად თავშეკავებულია, რომ მთავარი არ დაჩრდილოს.

1933 წლის გამოფენაზე ალ. მრევლიშვილი წარმოდგენილი იყო ცხობილი სურათით—„გამოსასვლელი დღე“, რომელმაც დიდი ყურადღება მიიქცია. ამ ნაწარმოებში მხატვარმა ასახა სტალინური ხუთწლედის განხორციელებით შექმნილი ბედნიერი ცხოვრების სურათი. მხატვარს აღარ დასცალდა ამ ახალ თემატიურ გეზს მიჰყოლოდა და თავისი ახალი სურათებით კვლავაც გაემდიდრებინა დიადი ეპოქის ამსახველი სურათების გალერია.

ძველი თაობის ქართველ მხატვართაგან ალ. მრევლიშვილი უთუოდ გამოირჩეოდა ხალხის სოციალ-პოლიტიკური ცხოვრებისადმი ღრმა ინტერესით. ხალხის ცხოვრების სიმართლით ასახვას შეალია მან თავისი სიცოცხლე.

დროული იქნებოდა მოგვეწყო ალ. მრევლიშვილის სურათების გამოფენა.

დ. ჯანელიძე

ნ. ბაიდაშვილი

საქ. კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიკომის მდივანი

საფუძვლიანად დავეუფლოთ მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიას

„საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“ პარტიული და საბჭოთა კადრების პოლიტიკურად გამოწრთობის, მათი ბოლშევიკური სულისკვეთებით აღზრდის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს.

პარტიული პროპაგანდის დაყენებაში არსებული ყველა ის ნაკლოვანებანი, რომლებიც საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაშია აღნიშნული, დამახასიათებელი იყო ტყიბულის რაიონისათვისაც. პარტიული განათლების ქსელში არსებული კუსტარულობა და არაორგანიზებულობა იწვევდა პროპაგანდის ხარისხის დაქვეითებას. პირველადი პარტორგანიზაციები გატაცებული იყვნენ იმით, რომ „გაეერთიანებინათ წრეებში ყველა კომუნისტი, აღლოთ გეზი იმაზე, რომ რაოდენობრივად გაეფართოვებინათ პარტიული წრეების ქსელი და გამოეყვანებინათ ოკლებივ ყველა კომუნისტის, და თანაც სავალდებულო წესით, ხელაღებით „ჩაბმას“ პარტიულ წრეებში“. სწორედ ასეთი უხეირო მუშაობის შედეგი იყო, რომ ტყიბულის რაიონში მუშაობდა პარტიული განათლების 37 წრე, რომლებშიც ჩაბმული იყო 1200-ზე მეტი კაცი. ამასთან ყველა წრე არ იყო უზრუნველყოფილი სათანადოდ მომზადებული პროპაგანდისტებით.

სუსტად მუშაობდნენ პარტორგანიზაციები საბჭოთა ინტელიგენციის მარქსისტულ - ლენინური თეორიით შეიარაღებისათვის. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ტყიბულში აღიზარდა საბჭოთა ინტელიგენციის შესანიშნავი კადრები. მარტო ტყიბულის მაღაროებში ამჟამად 300-ზე მეტი ინჟინერი, ტექნიკოსი, ექიმი, მასწავლებელი, გეოლოგი და სხვა სპეციალისტი მუშაობს.

ტყიბულის რაიონის სოფლებში ენერგიულად მუშაობენ მასწავლებლები, აგრონომები, ექიმები, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, ბრიგადირები — პარტიისა და ხალხის ერთგული ადამიანები, საბჭოთა ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები.

პარტიული და არაპარტიული ინტელიგენციის მარქსისტულ-ლენინური გამობრძმედის საქმეს ტყიბულის რაიონის პარტიული ორგანიზაციები დღემდე ჯეროვან ყურადღებას არ აქცევდნენ. ასე, მაგალითად, ლენინის სახელობის მაღაროს პარტორგანიზაციის მუშაობა ინტელიგენციასთან იმით ამოიწურებოდა, რომ ისინი „ჩაბმული“ იყვნენ პარტიული განათლების წრეებში. მათ პარტიის ისტორიას ასწავლიდა ისეთი პროპაგანდისტი, რომელიც თავის მსმენელებზე უფრო ნაკლებად იყო მომზადებული.

ეს ფაქტი მარტო ლენინის სახელობის მაღაროსათვის არ არის დამახასიათებელი. ასეთ მდგომარეობას ადგილი ჰქონდა სტალინის სახელობის მაღაროშიც, „ტყიბულქვანახშირის“ ტრესტში და სხვაგანაც.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში აღნიშნულია კუსტარულობა და უკონტროლობა პროპაგანდისტების შერჩევასა და პროპაგანდისტთა სემინარების ხელაღებით დანერგვაში. ლენინისა და სტალინის სახელობის მაღაროებში არსებული პარტიული კაბინეტები უზრუნველყოფილი არ იყვნენ სათანადოდ მომზადებული ხელმძღვანელებით.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება პარტიული ორგანიზაციებისაგან მოითხოვს, რომ აღვუდგინოთ კომუნისტებს მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლებისათვის თავისი ძალისა და უნარის რწმენა. ამასთან დაკავშირებით წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგების წინაშე ისმება ამოცანა, რომ მათ გულისყურით და ღრმად იკითხონ პრესაში გამოქვეყნებული თეორეტიული სტატიები და კონსულტაციები მარქსიზმ-ლენინიზმის ცალკეულ საკითხებზე.

ტყიბულის რაიონის პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები უდიდესი ინტერესით ეცნობიან სტალინური ცენტრალური კომიტეტის ისტორიულ დადგენილებას და იქიდან საჭირო დასკვნები გამოაქვთ.

პარტიულ ორგანიზაციებში დაიწყო შინაარსიანი მუშაობა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების რეალიზაციისათვის. ჩატარდა რაიონის პარტიული აქტივის კრება, რომელმაც ერთსულოვნად მოიწონა სტალინური ცენტრალური კომიტეტის 14 ნოემბრის დადგენილება და დასახა ღონისძიებანი პარტიული პროპაგანდის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. პარტიული აქტივის კრების შემდეგ ჩატარდა რაიონის პირველადი პარტორგანიზაციების ღია კრებები, რომლებზედაც ესწრებოდნენ საბჭოთა ინტელიგენციის მოწინავე ადამიანები. ამ კრებებზე განხილულ და განმარტებულ იქნა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება.

ლენინის სახელობის მაღაროში საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ აქტიური გამოხმაურება ჰპოვა კომუნისტებსა და ინტელიგენციას შორის. მათმა დიდმა უმრავლესობამ გამოსთქვა სურვილი დამოუკიდებლად შეისწავლოს მარქსიზმ-ლენინიზმი.

პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების გაცნობის მიზნით საკ. კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიკომმა ტყიბულში, სოფელ ორპირში და ტყიბულის მაღაროებში მოიწვია ინტელიგენციის კრებები. ამ კრებებში 700-ზე მეტმა კაცმა მიიღო მონაწილეობა.

კრებებზე აღნიშნულ იქნა საბჭოთა ინტელიგენციის უდიდესი როლი სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე და ის დიდი დახმარება და გულისხმიერი მზრუნველობა, რომელსაც საბჭოთა ინტელიგენციისადმი იჩენენ პარტია, მთავრობა და პირადად ამხანაგი სტალინი.

14 დეკემბერს საქ. კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიკომის ხელმძღვანელობით, რაიონული გაზეთის „ტყიბულის მაღაროელის“ რედაქციასთან ერთად, ჩატარდა მუშსოფლკორთა და კედლის გაზეთების რედაქტორთა რაიონული შეკრება, რომელმაც დასახა სათანადო ღონისძიებანი საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 14 დეკემბრის დადგენილების ცხოვრებაში გატარებისა და ძირეული პრესის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

საქ. კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიკომის ბიურომ ლექტორებად დაამტკიცა ამხ. ერ. ბუბაშვილი, ალ. ბელქანია, რ. გიორგაძე, მ. გელაშვილი, პ. პროტასენკო და შ. კოპალეიშვილი. პარტრაიკომის ბიურომ ამავე სხდომაზე კონსულტანტებად დაამტკიცა 4 ამხანაგი.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას ლექციების შემოღების შესახებ უკვე ვასრულებთ. შემუშავებული და დამტკიცებულია გეგმა ლექტორებისათვის, რომლის მიხედვით დეკემბერში წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგებისათვის ტყიბულში, ორპირში და ტყიბულის მაღაროებში ჩატარდა ლექციები. დღემდე ლექციები ჩატარდა ტყიბულში — საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებზე, ტყიბულის მაღაროებში — „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ პირველი თავის მიხედვით და ორპირში—სოფლის ინტელიგენციისათვის თემაზე: „ერთ ქვეყანაში კომუნიზმის აშენების შესახებ“. ლექციებმა დიდი ინტერესი გამოიწვიეს მსმენელებში.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება მნიშვნელოვნად ზრდის რაიონული პარტიული კაბინეტის როლსა და მნიშვნელობას. წინათ რაიონული პარტკაბინეტი მოთავსებული იყო მისთვის შეუფერებელ ბინაში. ამჟამად პარტკაბინეტთან გამოყოფილია სალექციო დარბაზი და ბიბლიოთეკა, სადაც წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგებს ყველა შესაძლებლობა აქვთ ღრმად შეისწავლონ მარქსიზმ-ლენინიზმის პირველი წყაროები.

ლენინისა და სტალინის სახელობის მაღაროებთან არსებული პარტკაბინეტები გადაკეთებულია ბიბლიოთეკებად და მიღებულია ზომები მათი საჭირო ლიტერატურით შევსებისათვის.

მთელს რაიონში პარტიული განათლების წრეების რაოდენობა მკვეთრად შემცირდა, პარტიულმა და საბჭოთა კადრებმა მარქსიზმ-ლენინიზმის დასაუფლებლად აირჩიეს დამოუკიდებელი შესწავლის მეთოდი.

„საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ შესასწავლად ჯერჯერობით არსებობს 2 წრე კადრების საშუალო რგოლისათვის. ამ წრეებისათვის შერჩეული და დამტკიცებულია პროპაგანდისტები.

საქ. კ. პ. (ბ) ტყიბულის რაიკომმა საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 14 ნოემბრის დადგენილების განხორციელებისათვის პირველი ნაბიჯი უკვე გადადგა, მაგრამ ჯერ კიდევ ძალიან ბევრია გასაკეთებელი პარტიული პროპაგანდის ნამდვილად ბოლშევიკურად გარდაქმნისათვის. ახლა ჩვენი ყურადღება აქეთკენაა მიმართული. მუშაობის ამ ფრონტზე რაიონის პარტიული ორგანიზაცია მთელი მონდომებით იმუშავებს.



მთავრდება სასწავლო წლის მეორე მეოთხედი. **სურათზე:** თბილისის მე-58 არასრული საშუალო სკოლის ფრიადოსანი მოწაფეები ი. როზინა, ლ. ხუბიანი, რ. აგუროვა სწავლობენ გეოგრაფიას.

ფოტო მ. კვირიკაშვილისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის პასტერის სადგური

(1888—1938)

მიმდინარე წელს არსებობის 50 წლისთავი შეუსრულდა თბილისის პასტერის სადგურს, რომელიც ამჟამად საქ. ჯანსახკომის ეპიდემიოლოგიის, მიკრობიოლოგიის და ბაქტერიოფაგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შემადგენლობაში შედის.

50 წლის განმავლობაში პასტერის სადგური ატარებდა თავის შეუმჩნეველ, მაგრამ დიდმნიშვნელოვან მუშაობას. განუწყვეტლივ ეხმარებოდა ცოფიანი და ცოფის მხრივ საეჭვო ცხოველებისაგან დაკბენილთ და არა ერთი ათასი ადამიანი გადაურჩენია მძიმე და აუცილებლად სასიკვდილო ავადმყოფობისაგან.

1886 წლის მეორე ნახევარში ყოფილი კავკასიის ოლქის ჰიგიენური ლაბორატორია შეუდგა პასტერის ახლად შემუშავებული ანტირაბიული ვაქცინაციის მეთოდის წინასწარ შესწავლას. მუშაობამ გასტანა 1887 წლის ბოლომდე, რის შემდეგ ლაბორატორიაში მომუშავე მედიცინის დოქტორი ფინკელშტეინი გაემგზავრა პარიზში პასტერის ინსტიტუტში ანტირაბიული ვაქცინაციის საფუძვლიანად შესასწავლად თვით პასტერთან. ფინკელშტეინმა პარიზიდან ჩამოიყვანა შინაური კურდღლები (ბაჭიები), რომელთაც პარიზში შეუშხაპუნეს ცოფის შხამი, და 1888 წლის 12 ივლისს საქართველოს დედაქალაქ თბილისში დაიწყო მუშაობა პასტერის სადგურმა. 1918 წლამდე თბილისის პასტერის სადგური წარმოადგენდა ყოფილ კავკასიის სამხედრო-სამედიცინო ლაბორატორიის განყოფილებას.

1918 წელს პასტერის სადგური გადავიდა ახლად დაარსებულ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელში, როგორც სანიტარული ინსტიტუტის პასტერის განყოფილება. 1926 წელს პასტერის სადგური გამოეყო სახელმწიფო უნივერსიტეტს და გადაეცა ჯანმრთელობის კომისარიატს, 1927 წელს შეუერთდა ჯანსახკომის ეპიდემიოლოგიის, მიკრობიოლოგიის და ბაქტერიოფაგიის სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტს, როგორც პასტერის განყოფილება.

1924 წლამდე ანტირაბიული ვაქცინაცია მოწყობილი იყო მხოლოდ თბილისის პასტერის სადგურზე. ანტირაბიული ვაქცინაციის დეცენტრალიზაციის მიზნით საქართველოს ჯანსახკომის განკარგულებით პასტერის სადგურის ფილიალები გაიხსნა 1924 წელს ქ. სოხუმში, 1926 წ. ქ. ბათუმსა და ქუთაისში, 1931 წელს ქ. მახარაძეში და 1935 წელს თელავში.

1924 წლამდე თბილისის პასტერის სადგურს არა ჰქონდა არავითარი სტაციონარი რაიონებიდან ჩამოსული ავადმყოფებისათვის. მათ ვათავსებდით რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში (კლინიკურ ინსტიტუტში). 1924 წელს ჯანსახკომის განკარგულებით გაიხსნა სტაციონარი ქალაქის პირველ საავადმყოფოში 5 კილომეტრის დაშორებით პასტერის სადგურიდან. 1929 წელს სტაციონარი გადმოტანილ იქნა პასტერის სადგურის შენობაში და იგი უზრუნველყოფილია საჭირო ავეჯეულობით, თეთრეულით, საწოლებითა და ჭურჭლით ოცი ავადმყოფისათვის.

მუშაობა პასტერის სადგურისა თავისი ხასიათის მიხედვით იყოფა რამდენიმე ნაწილად:

1. დაკბენილ ადამიანთა პროფილაქტიკა ანტირაბიული ვაქცინის საშუალებით.

ახლად მოსულ დაკბენილთა ამბულატორიული მიღება, ვაქცინაციის დანიშვნა და გატარება. კონსულტაცია სხვადასხვა შეკითხვებზე, ჭრილობების შეხვევა და მკურნალობა.

რა გააკეთა ამ მხრივ პასტერის სადგურმა?

თუ გადავათვალიერებთ წლიურ ანგარიშებს საერთოდ 50 წლის განმავლობაში თბილისის პასტერის სადგურზე მიღებულია 47.341 დაკბენილი და დადორბლილი ადამიანი, მათ შორის დაკბენილი 28.600. მათ გაუკეთდათ 662.760 ინექცია, ჭრილობების შეხვევა 142.020. 50 წლის განმავლობაში ცოფით ავად გახდა 48 ადამიანი.

2. თბილისის პასტერის სადგურს ანტირაბიული ვაქცინაციის მოსახლეობასთან დაახლოვებისა და საერთოდ დეცენტრალიზაციის მიზნით, გარდა თავისი ფილიალებისა, რომელნიც უკვე მუშაობენ, გათვალისწინებული აქვს ანტირაბიული ასაცრელი პუნქტების გახსნა რესპუბლიკის 16-20 ადგილას.

3. ლაბორატორიის საწარმოო მუშაობა გამოიხატება ასაცრელი მასალის მომზადებაში როგორც თვით სადგურზე ვაქცინაციის ჩასატარებლად, აგრეთვე ფილიალებისთვის და ასაცრელი პუნქტებისთვის. საერთოდ ერთი წლის განმავლობაში მზადდება 150 ლიტრი ანტირაბიული ვაქცინა.

4. ლაბორატორიული მუშაობა მდგომარეობს ცოფიანი და ცოფის მხრივ საეჭვო ცხოველების ლეშის პათოლოგო-ანატომიურ გაკვეთაში და მათი ტვინის გამოკვლევაში ნეგრის სხეულებზე, რომლის საშუალებითაც ირკვევა ცხოველის ცოფიანობა. ამგვარი გამოკვლევები წელიწადში ტარდება 150-160-მდე.

5. პასტერის სადგურში მომუშავე ექიმები ატარებენ ცდებს ლაბორატორიულ ცხოველებზე. სხვადასხვა ანტირაბიული ვაქცინაციის მეთოდების შესწავლის მიზნით და თბილისის პასტერის სადგურის ლაბორატორიული ცოფის შხამის ბიოლოგიური თვისებების შესწავლას.

ექიმი ქ. ზურაბიძე.
პასტერის სადგურის გამგე

ხალხური შემოქმედება

საქართველოს ხალხური შემოქმედების სახლმა მოსკოვიდან მიიღო ცნობა, რომ იქ დიდი ინტერესი გამოიწვია სტალინური კონსტიტუციის 2 წლისთავისადმი მიძღვნილ გამოფენაზე საქართველოდან გაგზავნილმა ქართული ხალხური შემოქმედების ექსპონატებმა (მხატვრული ქარგვის, ხეზე მხატვრული კვეთილობის, ინკრუსტაციის, ქვის მხატვრული დამუშავების და სხვა ნიმუშები).

ამ ექსპონატებთან გაცნობის შემდეგ ალმოსავლეთის ხალხთა კულტურის მუზეუმმა გადასწყვიტა საქართველოს ხალხური შემოქმედების სახლს შეუკვეთოს ასეთივე ექსპონატების დამზადება. ამ ექსპონატებს მუზეუმი გამოაფენს საქართველოს კულტურის განყოფილებაში.



ყურძენი დეკემბერში. თბილისში, პლეხანოვის პროსპექტზე № 137 სახლის ეზოში ვენახია გაშენებული. წელს აქ ყურძენი გვიან დამწიფდა. ამჟამად ვენახში ვაზებზე ასხია მწიფე მტევნები. სურათზე: ვენახის პატრონი მოქ. ტატანაშვილი ათვალიერებს მტევნებს.
ფოტო მ. კვირიკაშვილისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.).

პირველი კატეგორიის მწვრთნელები

ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტთან არსებულმა სახელმწიფო საკვალიფიკაციო კომისიამ პირველი კატეგორიის მწვრთნელთა სახელწოდება (ფეხბურთში) მიანიჭა საქართველოდან წარდგენილებს — ამხ. ა. იოსავას, ა. გალპერინს, სოკოლოვს და ამხ. სოლტანს. საკავშირო საკვალიფიკაციო კომისიამ შუამდგომლობა აღძრა ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის წინაშე, რათა პირველი კატეგორიის მწვრთნელის სახელწოდება მიენიჭოს აგრეთვე საქართველოდან წარდგენილ ორ კაცს—ამხ. ლარიონოვსა და ა. გონელს.

სასამართლოში

როგორ „შემოეჭამა" მალარაულს 18 ათასი მანეთი

დიმიტრი კონსტანტინეს-ძე მალარაული აჭარაში საქართველოს ყოფ. პარტგამომცემლობის ლიტერატურის გამავრცელებელ აგენტად მუშაობდა. მას მინდობილი ჰქონდა პარტიულ-პოლიტიკური ლიტერატურის გავრცელება. ამისათვის მალარაულს სახბანკის ბათუმის განყოფილებაში პირადი ანგარიშიც გაუხსნეს, სადაც მას უნდა შეეტანა გავრცელებული ლიტერატურის საფასური.

მალარაულსაც შეჰქონდა აკრეფილი თანხა სახბანკში, მაგრამ ეს მხოლოდ თვალის ასახვევად, და ისევ უკანვე გამოჰქონდა. გამოტანილი დიდძალი თანხებით ის დროსტარებას უნდებოდა. მალარაულმა მიითვისა და საქართველოს პარტგამომცემლობას დააკლო 18.000 მანეთამდე.

გამფლანგველ დიმიტრი კონსტანტინეს-ძე მალარაულის საქმეს 2 დღეს არჩევდა საქართველოს უმაღლესი სასამართლო ამხ. ივ. პაპაიანის თავმჯდომარეობით.

მალარაულთან ერთად საბრალდებო სკამზე იჯდა სახბანკის ბათუმის განყოფილების თანამშრომელი ქალი ტატიანა ვლადიმერის-ასული კლუბიცკაია, რომელსაც ბრალი ედებოდა მოვალეობისადმი დაუდევრობაში, რაც იმაში გამოიხატა, რომ ტ. კლუბიცკაიამ ბანკის კონტროლიორად ყოფნის დროს მალარაულს გაუფორმა პირადი ანგარიში ფულის გამოტანისათვის, რამაც მას საშუალება მისცა ეფლანგა სახელმწიფო ფული.

უმაღლესმა სასამართლომ გამფლანგველ დ. მალარაულს მიუსაჯა 5 წლით პატიმრობა და სასჯელის მოხდის შემდეგ სამოქალაქო უფლებების აყრა 2 წლის ვადით. ტ. კლუბიცკაიას მიესაჯა პატიმრობა 3 წლის ვადით, მაგრამ სასამართლომ, მიიღო რა მხედველობაში, რომ ის ავადმყოფია და პირველად იყო მიცემული პასუხისგებაში, 3 წლით პატიმრობა შეუცვალა 1 წლის იძულებითი მუშაობით.

მ. სურგულაძე

„მ-1" მოიგო

ახალციხე, 26 დეკემბერი (საქინფო). ახალციხის რაიონის სოფელ სუფლისის მცხოვრებმა ალექსანდრე მკრტიჩის-ძე აკოპიანმა თავდაცვა-ავიაქიმის მე-12 ლატარიის ბილეთით მოიგო ავტომანქანა "მ-1".

გროსმეისტერი რეშევსკი მოსკოვში

მოსკოვი, 26 დეკემბერი (ბილდ-აპარატით ჩვენი საკ. კორესპონდენტისაგან). მოსკოვში ჩამოსულმა ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონმა ჭადრაკში გროსმეისტერმა რეშევსკიმ გაზეთების კორესპონდენტებთან საუბარში განაცხადა: „მოხარული ვარ, რომ საბჭოთა კავშირში ჩამოვედი. მომავალი ტურნირი ძნელად და პასუხსაგებად მიმაჩნია. საბჭოთა მოჭადრაკეებიდან შევხვედრივარ ბოტვინიკსა და რაგოზინს, მაგრამ კარგად ვიცნობ ლევენფიშის, ბელავენეცის, რომანოვსკისა და გოგლიძის ოსტატობას. მე ისინი სერიოზულ მეტოქეებად მიმაჩნია. ტურნირი დიდი დაძაბულობით ჩაივლის, თუმცა მისი პირობები უფრო ხელსაყრელია, ვიდრე ამსტერდამში: საკმაო რაოდენობით გათვალისწინებულია დღეები დასასვენებლად და გადადებული პარტიების დასამთავრებლად".

დასასრულ, გროსმეისტერმა რეშევსკიმ განაცხადა, რომ იგი მოსკოვში მოდიოდა გერმანიაზე გამოვლით, მაგრამ ბერლინში გაჩერება ვერ მოახერხა, იმიტომ, რომ ყველა სასტუმროს ჰქონდა წარწერა: „ებრაელებისათვის შესვლა აკრძალულია".

კონკურსი სტუდენტის საუკეთესო მეცნიერულ ნაშრომზე

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებულმა კონკურსმა სტუდენტის საუკეთესო მეცნიერულ ნაშრომზე ფართო გამოხმაურება ჰპოვა სტუდენტობაში.

ისტორიის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი ამხ. ვიქ. გუჩუა, მის მიერ წარდგენილ თემის მიხედვით სწერს მეცნიერულ გამოკვლევას: „შამილი და კავკასიის მთის ხალხთა ნაციონალურ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა". შრომა საკონკურსო კომისიას უნდა ჩაბარდეს 1939 წლის მაისში, იმ ანგარიშით, რომ 1939 წლის აგვისტოში — შამილის დამარცხების 80 წლისთავზე გამოცემულ იქნას ცალკე წიგნად.

ეკონომიური ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტმა ამხ. ლონგინოზ ერქომაიშვილმა საკონკურსო კომისიას უკვე წარუდგინა ვრცელი მონოგრაფია ცნობილი სახალხო გმირის არსენა ოძელაშვილის შესახებ.

საპარაშუტო სპორტის ინსტრუქტორები თბილისში

26 დეკემბერს თბილისში ჩამოვიდა პარაშუტისტთა საკავშირო შეკრების მონაწილეთა პირველი ჯგუფი. ჩამოსულთა შორის არიან: გახანგრძლივებული გადმოხტომის პარაშუტთა კონსტრუქტორი ვ. დავინეცი (კრასნოდარი), ა. სავენკოვი (მაიკოპი), ცორაევი (ნალჩიკი), გ. კაბანოვი (სტალინგრადი), ავეტისიანი (ერევანი) და სხვ. — სულ 12 კაცი.

პარაშუტისტთა შეკრების მოსამზადებელი მუშაობის ჩატარებისათვის ამ დღეებში თბილისში ჩამოვიდა სსრ კავშირის საპარაშუტო სპორტის ოსტატი, სსრ კავშირის თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს საპარაშუტო მომზადების განყოფილების ინსპექტორი ამხ. გ. ვ. ოსვალდი.

შეკრების მატერიალური ნაწილის მომსახურებისათვის ჩამოვიდა ავიატექნიკოსთა და მოტორისტთა ჯგუფი.

თბილისში მატერიალური ნაწილის მიღების დაგვიანების გამო შეკრების გახსნა გადატანილია 1939 წლის 1 იანვრისათვის. (საქინფო).

შთამომავლობისა და ისტორიისათვის

თბილისში ამჟამად მუშაობს ე.-წ. „მოლაპარაკე წერილების" ჩამწერი ბრიგადა, რომელიც აწარმოებს ხმის წამიერ ჩაწერას ცელულოიდის ფირფიტაზე. შემდეგ ეს ფირფიტა შესაძლოა პატეფონით დავუკრათ და მოვისმინოთ.

საქართველოს სახელმწიფო სათეატრო მუზეუმმა ასეთ ფირფიტებზე ჩასწერა ხელოვნების ოსტატების მოგონებები. უკვე ჩაწერილია შალვა დადიანის (სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, დრამატურგი), აკაკი ვასაძის (სსრკ სახალხო არტისტი, ორდენოსანი), უჩა ჯაფარიძის (მხატვარი), ვიქტორ გამყრელიძის (საქართველოს სახალხო არტისტი), გრ. კილაძის (ორდენოსანი კომპოზიტორი), ელ. ჩერქეზიშვილის (სახ. არტისტი), კ. მერაბიშვილის (მოქანდაკე), პ. ამირანაშვილის (ორდენოსანი მომღერალი), ეფემია მესხის (სახალხო არტისტი, სცენის ოსტატი), შ. ღამბაშიძის (დამსახ. არტისტი) და თ. ჭავჭავაძის (ორდენოსანი) მოგონებები. ამ მოგონებებში ისინი მოგვითხრობენ, თუ როგორ ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ ძველად და როგორ გაიფურჩქნა მათი ნიჭი, როგორ აყვავდა ხელოვნება სტალინური ეპოქის საქართველოში.

ეს ფირფიტები შეინახა საქ. სახელმწიფო სათეატრო მუზეუმმა დალუქულ სეიფში, როგორც ისტორიული მასალა.

საქართველოს ხალხური შემოქმედების სახლმა ჩასწერა და შთამომავლობისათვის შეინახა ხალხური გუნდების, ანსამბლების, ინდივიდუალური შემსრულებლების გამოსვლები.

შენახულია აგრეთვე პოეტების— ალ. მაშაშვილის, ი. გრიშაშვილის, გ. ქუჩიშვილის, ალ. აბაშელის, გ. ლეონიძის და ვ. გაბესკირიას გამოსვლები (ლექსების წაკითხვა).

ეს ფირფიტები დაცული იქნება, როგორც ხელუხლებელი ისტორიული მნიშვნელობის მასალები.

მარის ინსტიტუტში

დღეს, 1 საათზე, მარის სახელობის ენისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში ქართველურ ენათა განყოფილების საჯარო სხდომაზე პროფ. აკ. შანიძე წაიკითხავს მოხსენებას თემაზე: „ბოლნისისა და მცხეთის ახლად აღმოჩენილი ქართული წარწერები".

დღის 3 საათზე კავკასიურ ენათა განყოფილების საჯარო სხდომაზე მოსმენილ იქნება მოხსენებები: დოც. **ქეთო ლომთათიძისა**—„აფხაზურ ზმნათა ფუძის შედგენილობა და ფუძისეული ხმოვანის რედუქცია, როგორც სემანტიკური დიფერენციაციის საშუალება" და **ვლ. ფანჩვიძისა**—„შიცემით-სუბიექტიანი ზმნები უდურში".

ახალი ამბები

● **ჩკალოვის სახელობის ქუჩა.** საბჭოთა კავშირის გმირის—ვალერი ჩკალოვის ხსოვნის უკვდავსაყოფად თბილისის საბჭომ 26 კომისრის რაიონში ქიაჩელიშვილის ქუჩას მიაკუთვნა ვალერი ჩკალოვის სახელი.

● **ტაქსების სამარშრუტო ხაზები.** თბილისის ავტოტრესტს გადაწყვეტილი აქვს უახლოეს დროში გაუშვას ტაქსები წინასწარ დაწესებული მარშრუტების მიხედვით ისევე როგორც ავტობუსები. ამ გამოცდილებამ საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში კარგი შედეგი გამოიღო.

ლ. კეცხოველის სახელობის პარტგანათლების სახლის ღონისძიებანი

28/XII — ამხ. ლ. გეგეშიძის ლექცია: „პოლიტიკური თვითგანათლებისა და წიგნზე მუშაობის შესახებ". ქართულ ენაზე. ლექცია შესდგება პლეხანოვის სახელობის კლუბის დარბაზში, საბჭოს ქ. № 124. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

28/XII — ამხ. პ. თავხელიძის ლექცია: „პიროვნების როლი ისტორიაში". ქართულ ენაზე. ლექცია შესდგება სტალინის სახელობის რაიკომის პარტკაბინეტის დარბაზში, ტატიანას ქ. № 2. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

29/XII — ამხ. ჭაკნელიძის ლექცია თემაზე: „მარქსისტული პარტიის იდეოლოგიური საფუძვლები ლენინის წიგნში „რა ვაკეთოთ?". რუსულ ენაზე.

ლექცია შესდგება ს. ორჯონიკიძის სახელობის რაიკომის პარტკაბინეტის დარბაზში, ლენინის ქ. № 11.

ყოველდღე ტარდება ინდივიდუალური კონსულტაციები ამხანაგებისათვის, რომლებიც შეუდგნენ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" დამოუკიდებლად შესწავლას.

კონსულტაციები ტარდება დილის 10 საათიდან 4 საათამდე და საღამოს 8-დან 11 საათამდე ქართულ და რუსულ ენებზე.

კონსულტანტების ტელეფონები: 3—18—46 და 3—61—68.

ქვანახშირი და მარგანეცი

25 დეკემბრისათვის

(ტონობით)

	გეგმა	შესრულება	%%
ტყიბული	1012	1190	117,6
ტყვარჩელი	750	739	102
ჭიათურა	5530	4285	77*)

*) ჭიათურიდან ცნობა 24 დეკემბრისაა.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

გაგრა. საზღვაო ვაგზლის არქიტექტურული გაფორმება.
ფოტო უხობოტინისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

იადიგარ დაუდი

ძველი საქართველოს მედიცინის ძეგლი

საქართველოს სახელმწიფო ბიომედგამომცემლობამ გამოსცა ამხ. ლადო კოტეტიშვილის მიერ დამუშავებული წიგნი „იადიგარ დაუდის" სახელწოდებით. წიგნი წარმოადგენს ძველი საქართველოს (მე-16 საუკუნის) მედიცინის უდიდეს ძეგლს, და ხოჯა ყოფილის „წიგნი საამქიმოის" შემდეგ ძალიან საინტერესო წარმოდგენას იძლევა მედიცინის მდგომარეობის შესახებ ძველ საქართველოში.

წიგნი, როგორც ამას ამხ. ლ. კოტეტიშვილი გადმოგვცემს, დაწერილია საქართველოს მეფის დავითის (დაუდ-ხანის 1569 - 1578 წლებში) მიერ ქალაქ კონსტანტინოპოლში.

წიგნში ავტორი დავით მეფე გვაძლევს სხვადასხვა სნეულებების აღწერისა და მათი მკურნალობის შესახებ ისტორიულად საინტერესო ცნობებს.

წიგნს დართული აქვს ექ. ლადო კოტეტიშვილის ნარკვევი „მედიცინა ძველ საქართველოში. XVI საუკუნე", ვარიანტები, ლექსიკონი, პირთა სახელებისა და ავადმყოფობათა საძიებელი. წიგნი გამოცემულია ამხ. ვ. ენუქაშვილის რედაქციით.

თბილისი. საქფილმის ფაბრიკის ხედი ჩელუსკინელთა სახელობის ხიდიდან.
„სოიუზფოტოს" საქ. განყ."

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1679

საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატისადმი

1938 წლ. 25 დეკემბერი

ქალ. თბილისში არსებულ შინამრეწველურ და ხელოსნურ რეწვათათვის შემოსავლიანობის ნორმების დამტკიცების შესახებ 1939 წლისათვის

კერძო პირთაგან საშემოსავლო გადასახადის დებულების მიხედვით, რომელიც დამტკიცებულია სსრკ ცაკის და სახკომსაბჭოს მიერ 1934 წლის 17 მაისს, და 1935 წლის 17 დეკემბრის დადგენილების მე-24 მუხლის საფუძველზე ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

იმ შინამრეწველ ხელოსნებისათვის, რომლებიც ეწევიან ქვემოთჩამოთვლილ რეწვას, საშემოსავლო გადასახადით დასაბეგრავად დაწესებულ იქმნას შემოსავლიანობის შემდეგი ნორმები:

№№ რიგზე	რეწვის დასახელება	თბილისი
	ა. შინამრეწველ ხელოსნებისათვის, რომლებიც ეწევიან ტანსაცმლის, თეთრეულის, თავის სამკაულის (ქუდების) და სხვა ამგვარის კერვას დამკვეთელზე შემკეთლის მასალიდან:	
1	მამაკაცის და ქალის ტანსაცმელის მკერავები:	
	ა) მაღალი კვალიფიკაციისა	25,000
	ბ) საშუალო კვალიფიკაციისა	22.000
2	მკერავი ქალები:	
	ა) უბრალო კაბების მკერავები ბინაზე	11.000
	ბ) მკერავები შემკვეთლის ბინაზე	7.500
3	ნაციონალური ტანსაცმლის მკერავები	12.000
4	გოფრიროვკის, პლისეს, კორდონეს, მერეჟკის მკეთებლები და მქარგავები	18.000
	ა) ხელით ქარგვა	7.000
5	ქალის ქუდების მკერავები	17,000
6	მუცლის ასაკრავების და ბიუსტჰალტერების შეკერვა	13.000
7	თევზსაჭერი ბადეების დამზადება	5.300
8	ტიკების დამზადება	9.500
	ბ. შინამრეწველ - ხელოსნებისათვის, რომლებიც ეწევიან დამკვეთელთა კუთვნილი ნივთების შეკეთებას:	
1	მკერავები, რომლებიც ეწევიან ზედა ტანსაცმლის შეკეთებას	14.000
2	მამაკაცის ქუდების („ფეტრის") გადაკეთება	11,000
3	ბეწვეულის ნაკეთობათა შეკეთება	24.000
4	ცხენის მოკაზმულობათა შეკეთება	16 000
5	ავეჯეულობის შეკეთება	11.000
6	ქოლგის და ჯოხების შეკეთება	6.000
7	ბოქლომების შეკეთება და გასაღებების ძორკვა	14 000
8	ცივი იარაღის შეკეთება	12.500
9	ნავთქურების, პრიმუსების, ლამპების და საოჯახო ჭურჭლეულობის შეკეთება:	
	ა) ცენტრში და ბაზრებზე	18.000
	ბ) განაპირა ადგილებში	13.000
10	ველოსიპედების, საწერი მანქანების, არითმომეტრების, პატეფონების და გრამოფონების შეკეთება:	
	ა) საწერი მანქანების და არითმომეტრების	38.000
	ბ) პატეფონების და გრამოფონების	13 000
	გ) ველოსიპედების და სხვ.	18 000
11	ჭურჭლეულობის მოკალვა	14 000
12	საათების შეკეთება:	
	ა) ცენტრში და მომიჯნე ქუჩებში	26,000
	ბ) დანარჩენ ადგილებში	18.000
13	მუსიკალური ინსტრუმენტების შეკეთება	13.000
14	ფეხსაცმლის (მამაკაცის და ქალის) შეკეთება	
	ა) განსაკუთრებულ სადგომში	14.000
	ბ) დანარჩენები (სადგომის გარეშე) და კალოშის შემკეთებლები ბაზრებზე	11.000
	გ) ქუჩებში	8.000
15	თუნუქის ნაკეთეობათა შეკეთება	13.000
16	რედიკულების, ჩანთების, პორტფელების და ტყავის ჩემოდნების შეკეთება	17.000
17	ელექტრომოწყობილობათა შეკეთება	24.000
18	ნივთების მონიკელება და გაპრიალება	30.000
19	ქიმიური წმენდა და მატერიის და ტანსაცმელის შეღებვა	28 000
20	ნართისა და უბრალო მატერიის შეღებვა დაუუთოვებლათ	16.000
21	ტყავის ნაკეთობათა და ფეხსაცმლის შეღებვა	12.000
	გ. შინამრეწველ - ხელოსნებისათვის, რომლებიც ეწევიან მოქალაქეთა პირად და სამეურნეო-საყოფაცხოვრებო საჭიროებათა მოსამსახურებას.	
1	პარიკმახერები მამაკაცების:	
	ა) ცენტრში და მომიჯნე ქუჩებში	20.000
	ბ) დანარჩენ ადგილებში	16.000
	გ) განაპირა ადგილებში და ბინაზე	12,000
2	პარიკმახერები ქალების	22.000
3	მანიკიურის მკეთებლები	12.000
4	ფოტოგრაფები:	
	ა) განსაკუთრებულ სადგომში მაღალი კვალიფიკაციის	38.000
	ბ) საშუალო	26.000
	გ) დანარჩენები	19.000
	დ) ქუჩაში მომუშავენი წუთიერი	13.000
5	სურათების გადიდება	25.000
6	მკინძავები:	
	ა) მოწყობილ სადგომში	16.000
	ბ) დაწესებულებისათვის საბუხჰალტრო საბუთების მკინძავები, რომლებიც მუშაობენ სახლში	8.000
7	ზეინკლები, რომლებიც მუშაობენ სახელოსნოებში მექანიკური ძრავით.	20.000
8	ოპტიკოსები	11.000
9	ნახმარი ბამბის და მატყლის პენტვა	16.000
10	ხარატი ლითონზე შემკვეთლის მასალიდან:	
	ა) მექანიკური ძრავით	23.000
	ბ) მექანიკური ძრავის გარეშე	12.000
11	ფეხსაცმელების წმენდა	6.000
	დ. შინამრეწველ - ხელოსნები. რომლებიც ამზადებენ ნაწარმს საკუთარი მასალისაგან ბაზარზე გასასყიდად ხიდან, ჩალიდან, თიხიდან, ქვიდან, სათამაშოებს და მუსიკალურ ინსტრუმენტებს:	
1	ავეჯეულობის წარმოება:	
	ა) ძვირფასი ავეჯეულობის (შიფონერის, ბუფეტის და სხვ.) გამკეთებლები	24.000
	ბ) ჩვეულებრივი ავეჯის (მაგიდების, სკამების, შკაფების და სხვ.) გამკეთებლები	16.000
	გ) ბამბუკის ავეჯეულობის დამზადება	10.000
2	ხის ჩარჩოების დამზადება	19.500
3	კრამიტის ქვეშ საფენი ხის ფირფიტების დამზადება	14.000
4	ხარატი ხეზე მექანიკური ძრავით	18,000
5	საკასრე წარმოება	17 000
6	საცრების გამკეთებლები საკუთარი დაწნული ბადით, ჩალიდან, მავთულიდან	7.000
7	ტანსამოსის ჩამოსაკიდებლების, შპილკების და ხაფანგების დამზადება	7 000
8	მარმარილოს ნაკეთობათა და ძეგლების მკეთებლები (მოზაიკის ძეგლებიც)	20.000
9	ჩემოდნები, დერმატინით, გრანიტოლით და მუშამბით („კლიონკით") გადაკრული	20.000
10	ხის ყუთების დამზადება ამანათებისათვის	20.000
11	ბავშვთა სათამაშოების და გიპსის ფიგურების დამზადება	9.000
12	საკანცელარიო ნივთების დამზადება	13.000
13	ხის კალაპოტების და ქუსლების დამზადება:	
	ა) მექანიკური ძრავით	18.000
	ბ) მექანიკური ძრავის გარეშე	14.000
14	კნუტების (შოლტების) დამზადება	8.500

შენიშვნა:

1. იმ შინამრეწველ ხელოსნების დაბეგვრის დროს, რომელთა დამხმარე ხასიათის სამუშაოები სრულდება ოჯახის წევრთა მიერ, მათი შემოსავალი გადიდდება დაწესებულ ნორმის არაუმეტეს 50%-ისა, იმისდა მიხედვით, თუ რა ხასიათის მუშაობას ეწევიან ოჯახის წევრები და რამდენ დროს ანდომებენ ისინი რეწვას და გამომუშავებას. ამ გადიდების ოდენობა განისაზღვრება თვითეული დასაბეგრი შინამრეწველის გამოკვლევის საფუძველზე.
2. ოჯახის წევრები, რომლებიც რეწვაში ასრულებენ დამოუკიდებელ სამუშაოს, დაიბეგრებიან ცალცალკე. შემოსავლიანობის სათანადო ნორმის მიხედვით.
3. მუშა-მოსამსახურეთა დაბეგვრის დროს იმ შემოსავლის მიხედვით, რომელსაც ისინი ღებულობენ სისტემატურად წარმოებულ შინამრეწველურ და ხელოსნურ რეწვიდან დაკვეთების სახით არასამუშაო საათებში, აგრეთვე კოოპერირებული შინამრეწველების (საწარმოო არტელების წევრების) დაბეგვრის დროს იმ შემოსავლიდან, რომელსაც იღებენ არა არტელის, არამედ კერძო დაკვეთებიდან, ეფარდებათ ნორმები, დაწესებულნი სათანადო რეწვისათვის შემდგომი შემცირებით იმისდა მიხედვით. თუ რამდენი დრო მოანდომა შინამრეწველმა სამუშაოს მოცემულ რეწვაში და რამდენი გამოიმუშავა მან. სამსახურის გარეშე აღებული სამუშაოს შესრულების დრო და გამომუშავების ოდენობა განისაზღვრება თვითეული დასაბეგრავი შინამრეწველის გამოკვლევის საფუძველზე. ასეთ შინამრეწველთათვის ნორმის შემცირება რომელიმე საშუალო პროცენტის რაოდენობით კატეგორიულად აკრძალულია.
4. იმ შემთხვევაში, თუ რეწვა აღმოცენდება შუა წელში, ნორმებით გამოანგარიშებული წლიური გადასახადის თანხა მცირდება რეწვის ამ წელში არსებობის შესაბამისად და უნდა გადახდილ იქნას გადამხდელის მიერ თანაბარ ნაწილებად საყოველთაოდ დაწესებულ ვადებში, რომლებიც დარჩენილია წლის ბოლომდე.
5. არასწორი დაბეგვრის შემთხვევაში საჩივრები შეიტანება რაი (ქალ.) ფინგანის გამგესთან. რაი (ქალ.) ფინგანის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრებულ იქნას ზემდგომ საფინანსო ორგანოებში.
6. იმ შინამრეწველურ და ხელოსნურ რეწვებზე, რომლებიც არ არის ნაჩვენები ამ ბრძანებაში, ნორმები დამტკიცებული იქნება ქალაქის ფინგანის მიერ სათანადო მასალების წარმოდგენის შემდეგ.

აღნიშნული ბრძანება გამოქვეყნდეს ადგილობრივ პრესაში.

საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარი—ციმაკურიძე. 1413

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი

27/XII შ უ რ ი

28/XII ფიგაროს ქორწინება

1939 წლის 1 კვარტალის მუდმივ ადგილებზე ბილეთების გაცემა სწარმოებს თეატრის ბუხჰალტერიის მიერ 1 საათიდან 4 საათამდე. იმ აბონენტს, რომელსაც დაფარული არ ექნება მორიგი გადასახდელი, წიგნაკები არ მიეცემა. მიმღებმა თან უნდა იქონიოს მინდობილობა.

ქუთაისის სახელმწიფო თეატრი
1938-39 წლის სეზონი

28 და 29 დეკემბერს პ რ ე მ ი ე რ ა
უილიამ შექსპირის
ო თ ე ლ ო

ტრაგედია 5 მოქმ. თარგმ. ივ. მაჩაბლისა.

მონაწილეობენ: ალ. იმედაშვილი (რესპ. სახ. არტ.), ი. ზარდალიშვილი, (რესპ. დამს. არტ.), ც. ამირეჯიბი, თ. ღვინიაშვილი, ალ. გაბუნია, გ. გელაშვილი, თ. კიკნაძე, მ. ოქრუაშვილი, გ. გვენცაძე, ქ. გიორგობიანი, ევ. იმედაძე, ვ კინწურაშვილი, გრ. კოკელაძე, ვახ. მეგრელიშვილი, გრ. ნაცვლიშვილი, ი. სალაღიშვილი, მიხ. სვანიძე, პავ. უგრეხელიძე, შალ. ქარცივაძე, ლ. შენგელია, ვარ. ჩხიკვაძე.

დადგმა დ. ანთაძისა (რესპ. დამს. არტისტი), მხატვარი კ. ხანაძე,

მუსიკა თ. ვახვახიშვილისა, ასისტენტი ს. ვაჩნაძე.

რეჟ. თანაშემწე გრ. ჯიბუტი, დირიჟორი გ. მარჯანიშვილი.

მორიგი პრემიერა—მაქსიმ გ ო რ კ ი ს „მ ტ რ ე ბ ი". 22422

გერმანე გიორგაძე მწუხარებით იუწყება საყვარელი მამის

ვასილის

გარდაცვალებას. დასაფლავება 29 დეკემბერს სოფელ ცხემლისხიდში (მახარაძის რაიონი).

„კომუნისტის" რედაქციისა და გამომცემლობის მუშაკთა კოლექტივი თანაგრძნობას უცხადებს ამავე კოლექტივის წევრს ამხ. გერმანე გიორგაძეს მისი მამის

ვასილ ნიკოლოზის-ძე გიორგაძის

გარდაცვალების გამო.

მისამართი: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა — 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის — 3—57—61, სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—40, მშრომელთა წერილების — 3—73—24, პ.-მგ. მორიგის — 3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04 ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი", თბილისი, ქ. № 68. მთავლიტის რწმუნებული Ე—250